# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 12 ნოემბერი, 2015 წელი.

№213 (7858)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბეჭდვის გაცდენა ყოვლად უპატიოსნობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.


# „რუსთავი-2“ სიცრუის გზას არ ღალატობს!

## მთავარი პროკურატურა: ნინო ჯღარკავასა და ვლადიმერ ბედუკაძეს შორის მიმოწერა, რომელიც გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში“ გავიდა, ყალბია

ნინო ჯღარკავასა და ვლადიმერ ბედუკაძეს შორის მიმოწერა, რომელიც გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში“ გავიდა, ყალბია , — ნათქვამია მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პროკურატურაში განმარტავენ, რომ გამოქვეყნებული მიმოწერის შემდეგ, ჯღარკავამ პროკურატურას განცხადებით მიმართა, რომ დადგენილიყო, უკანონოდ ხომ არ შევიდა ვინმე მისი „ფეისბუქის“ პროფილზე. პროკურატურაში აცხადებენ, რომ გამოქვეყნებული მასალები გაყალბებული „სქრინშოთებია“, შესაბამისად, არ არის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებიც, რაც გულისხმობს ოფიციალური დოკუმენტის გაყალბებას.

პროკურატურის თქმით, შესაძლებელია გაყალბებული მიმოწერა შეიცავდეს ამა თუ იმ პირის პატივისა და ღირსების შემლახავ ინფორმაციას, თუმცა ამ კატეგორიის დავა განეკუთვნება სამოქალაქო სამართლებრივ სფეროს და სცილდება პროკურატურის კომპეტენციას.

„ინტერპრესნიუსი“ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

**„2015 წლის 24 ოქტომბერს მოქალაქე ნინო ჯღარკავამ განცხადებით მიმართა საქართველოს პროკურატურას და მიუთითა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერით გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში“ ვრცელდებოდა მისი და ვლადიმერ ბედუკაძის სახელით განხორციელებული ყალბი მიმოწერა „ფეისბუქის“ საშუალებით ე.წ. ციხის კადრებთან დაკავშირებით. მან არ გამორიცხა, რომ შესაძლოა, მისი „ფეისბუქის“ პროფილზე ვინმე უკანონოდ შევიდა.**

**იმისთვის, რათა დადგენილიყო, განცხადებასა და წარმოდგენილ მასალებში იკვეთებოდა თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რაც გულისხმობს კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევას, გამოიკითხნენ ხსენებულ ფაქტთან კავშირში მყოფი პირები. დადგინდა, რომ ტელევიზიით გასული ხსენებულ პირებს შორის მიმოწერა არის ყალბი და ამის დადგენა სრულიად მარტივად იქნებოდა შესაძლებელი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ:**



**მიმოწერა წარმოდგენილია ე.წ. „ფეისბუქის“ „სქრინშოთების“, ანუ ფოტოების სახით. მიმოწერასთან მოცემულია მხოლოდ საათი და არსად ჩანს მიმოწერის თარიღი, რაც ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ე.წ. „სქრინშოთები“ იქმნება მიმოწერის განხორციელების დღეს. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, საათთან ერთად მოცემული უნდა იყოს თარიღიც. გარდა ამისა, ხსენებულ „სქრინშოთებზე“, „ფეისბუქის“ გვერდის მარჯვენა მხარეს მითითებულია წელი — 2012, ანუ „სქრინშოთი“ შექმნილი უნდა იყოს 2012 წელს და უშუალოდ მიმოწერის განხორციელების დღეს, რაც არ დასტურდება.**

**ამავე „სქრინშოთზე“ ერთ-ერთ მეგობრობის შემოთავაზებაში ფიგურირებს მომხმარებელი „Nikoloz Xucishvili“. მისი პროფილის გახსნისა და დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ პროფილი შექმნილია 2014 წელს და ის 2012 წელს არ არსებობდა, რაც შეეხება პროფილზე განთავსებულ ფოტოს — იგი გადაღებულია 2014 წელს, რაც დასტურდება სურათზე გამოსახული პიროვნების გამოკითხვით. ასევე დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ყალბი „სქრინშოთი“ შექმნილია 2014 წლის 12 ოქტომბრის შემდგომ პერიოდში, ვინაიდან სწორედ ამ დღეს აიტვირთა „Nikoloz Xucishvili“-ს პროფილზე ის ფოტო, რომელიც ფიგურირებს გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში“ გავრცელებულ „სქრინშოთზე“, რაც, თავის მხრივ, ემთხვევა გამოკითხული ჟურნალისტის ლაშა ბერულავას მიერ მითითებულ თარიღს, რომ 2014 წლის ოქტომბრის ბოლოს მისთვის უცხო პიროვნებისაგან ჩაუვარდა ხელში ეს მასალა. ანალოგიური ვითარებაა „სქრინშოთზე“ მოცემულ კიდევ ერთი მომხმარებლის — „Toni Montana“-ს პროფილთან მიმართებაშიც, რომელიც ასევე შექმნილია 2014 წელს. ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით უტყუარად დგინდება, რომ ტელევიზიით გავრცელებული 2012 წლით დათარიღებული მიმოწერა „სქრინშოთების“ სახით არის ყალბი.**

იხ. 3 გვ.

# დროებითმა მმართველებმა „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობა უდუმაშვილს შესთავაზეს, მაგრამ...







**სასამართლოს მიერ დანიშნულმა „რუსთავი-2“-ის დროებითმა მმართველებმა — რეზო საყევარიშვილმა და დავით დვალმა საკუთარი უფლებამოსილება არხის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს ზაალ უდუმაშვილს მიანიჭეს. შესაბამისი განცხადება დვალმა და საყევარიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთეს.**

დვალის განმარტებით, უდუმაშვილისთვის „რუსთავი-2“-ის დროებითი მმართველის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილება საჯარო რეესტრში უკვე ასახულია.

**„ეს გადაწყვეტილება ცალმხრივად განვახორციელეთ, მე და ბატონმა რეზომ ჩვენი უფლებამოსილება მივანიჭეთ ზაალ უდუმაშვილს. მას უკვე ეს უფლება მინიჭებული აქვს, რაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია, ანუ ზაალ უდუმაშვილს სრულფსოვნად შეუძლია, განახორციელოს დროებითი მმართველის ფუნქცია“,** — აღნიშნა დავით დვალმა.

თუკი, „რუსთავი-2“-მა 16 ნოემბერს საგადასახადო ორგანოში დოკუმენტაცია არ წარადგინა, კანონდამრღვევი იქნება, — ამის შესახებ რეზო საყევარიშვილმა განაცხადა და აღნიშნა, რომ ახლა მთავარი პრობლემა ეს არის, რომელიც უნდა გადაიჭრას.

**„სასამართლოში დავები გრძელდება და ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ ამ საკითხების გადაჭრა მოკლე ვადაში მოხდება. ჩვენ არ ვიცით თარიღები. ამ დროს, ვიცით ერთი კონკრეტული თარიღი — 15 ნოემბერი (კვირა დღეა და, ალბათ, ერთი დღით — 16 ნოემბრამდე გადაიწევს), როდესაც უნდა მოხდეს ტელეკომპანიის, ისევე როგორც სხვა სამეურნეო სუბიექტის მხრიდან, საგადასახადო ორგანოებში შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენა. თუ ეს არ მოხდა, ტელეკომპანია ხდება კანონდამრღვევი, ურჩი გადამხდელი, — არასათანადო ურთიერთობაში მყოფი სახელმწიფოსთან და მას შეიძლება დაეკისროს გარკვეული სანქციები. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება, რასაც ჩვენ პირველ რიგში ვუსვამთ ხაზს. სწორედ იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს და ტელეკომპანია იყოს პირნათელი, იმ შემთხვევაში, როდესაც ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს და ფინანსურ დირექტორს შეჩერებული აქვთ უფლებამოსილება და ჩვენ იქ არ შევდივართ შესაძლო კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, გამოინახა გზა, რომ მოვახდინოთ უფლებამოსილების იმ ადამიანზე გადაცემა, რომელიც კოლექტივისთვისაც მისაღებია. მიგვაჩნია, რომ ზაალ უდუმაშვილი შეძლებს უზრუნველყოს კომპანიის შეუფერხებელი, ფინანსური, იურიდიული და სხვა ტიპის საქმიანობა“,** — განაცხადა რეზო საყევარიშვილმა.

მისი თქმით, ეს არის პირველი პრობლემა, რომელიც ძალიან სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვს.

**„სამი სამუშაო დღე არის დარჩენილი, იმისთვის რომ მოხდეს ამ დოკუმენტაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენა და არავითარი კანონი არ დაირღვეს, ეს არის ჩვენი პირველადი ფუნქცია“,** — განაცხადა რეზო საყევარიშვილმა.

„რუსთავი-2“-ის დამფუძნებლები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე არასამთავრობო სექტორს არხთან დაკავშირებულ დავაში მედიატორის ფუნქციის შესრულებას სთხოვენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საუბარი უკვე ჰქონდათ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ და შეხვედრა იგეგმება სხვა ორგანიზაციებთანაც.

**„ჩვენ გუშინ შევხვდით საიას ხელმძღვანელს ანა ნაცვლიშვილს და ვთხოვეთ ამ პროცესში შუამდგომლობა. მათთან ერთად თხოვნით მივმართავთ ყველა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასაც, რომ იქნებ, რაღაცნაირად, მედიატორის როლი შეასრულონ და დაარეგულირონ ეს საკითხი. ეს ის ხალხია, რომელიც დაინტერესებულია უკონფლიქტოდ, სამართლებრივი გზით, მშვიდად და წყნარად წარიმართოს ეს დავა და არ დარჩეს კითხვის ნიშნები. ჩვენ მივმართავთ თხოვნით“,** — განაცხადა დავით დვალმა.

იხ. 2 გვ.


ალექსანდრე თვალჭრელიძე: მიმდინარეობს არა მედიის შეზღუდვის, არამედ, პირიქით, ფართო გაგებით, მედიის თავისუფლების საბოლოო უზრუნველყოფის პროცესი 5

ევა გოცირიძე: არავის აქვს უფლება, ხელყოს და ფეხქვეშ გათელოს სასამართლოს დამოუკიდებლობა 4

# „უდუმაშვილი კი უარზე დგას და იმუქრება

(პირველი გვერდიდან)

„რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ზაალ უდუმაშვილი ტელეკომპანიის დროებით მმართველობაზე უარს ამბობს.

როგორც ზაალ უდუმაშვილმა სასამართლოს მიერ დანიშნული არხის დროებითი მმართველების — დავით დვალისა და რეზო საყევარიშვილის შეთავაზების საპასუხოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ის არ არის ფინანსისტი და ვერ აიღებს შესაბამის ვალდებულებას.




**„როგორც ვხედავთ, სიურპრიზები ხელისუფლების მხრიდან არ მთავრდება და დასასრული არ უჩანს ამ პროცესს. ერთი საათის წინათ ჩვენ სრული აბსურდი მოვისმინეთ იმ ე.წ. დროებითი მმართველებისგან, რომლებიც თამაზ ურთმელიძემ დაუნიშნა „რუსთავი-2“-ს. პირველ რიგში, მე მაინტერესებს როდიდან გახდა კონფიდენციალური საუბრები განხილვის თემა — ვადასტურებ, რომ დავით დვალთან შეხვედრა შედგა მისივე ინიციატივით, რომელზეც მე გავაცანი ჩემი პოზიცია და კარგად ავუხსენი, რომ ეს არის ხელისუფლების წარმოებული ბრძოლა, რომელშიც ის წარმოადგენს ამ ბრძოლის იარაღს. მას ჰქონდა თავისი პოზიცია. ბუნებრივია, ჩვენ ვერ შევჯერდით პოზიციებზე. მისი ბოლო წინადადება ასეთი იყო — ხომ არ დავთანხმდებოდი დროებით მმართველობას, რათა კომპანია გადაგვერჩინა, რაზეც ჩემგან თანხმობა დავით დვალს არ მიუღია.**

**დღეს მოვისმინე ის, რაც მოვისმინეთ. მე მაინტერესებს, როგორ გატარდა საჯარო რეესტრში იმ ვალდებულებების დოკუმენტი, რომელიც მე დამაკისრა დავით დვალმა და რევაზ საყევარიშვილმა ისე, რომ მასზე ჩემი ხელმოწერა არ იყო? მე გავიარე იურისტებთან კონსულტაცია და ვიცი, რომ ჩემი თანხმობისა და ხელმოწერის გარეშე ამ დოკუმენტის გატარება არ შეიძლებოდა. შესაბამისად, ეს დოკუმენტი არის უკანონო.**

**მე ვარ „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე და მაქვს კონკრეტული ფუნქციები. ვხელმძღვანელობ არხის საინფორმაციო პოლიტიკას. მე არ ვარ გამოცდილებით ფინანსისტი და ვერც ავიღებ ამ ვალდებულებას ჩემ თავზე ვერასოდეს, ვინაიდან ამას შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება სჭირდება“,** — განაცხადა უდუმაშვილმა.

ზაალ უდუმაშვილი სასამართლოს მიერ დანიშნულ დროებით მმართველებს მოუწოდებს, ტელეკომპანია „დისტანციურად მართონ“, თუკი ოფისში შესვლა არ უნდათ.

შესაბამისი განცხადება უდუმაშვილმა „რუსთავი-2“-ში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა და განმარტა, რომ დავით დვალისა და რეზო საყევარიშვილის შეთავაზებაზე, შეასრულოს დროებითი მმართველის ფუნქცია, უარს ამბობს.

**„თქვენ, ბატონებო, გაქვთ ყველანაირი ვალდებულება მიღებული თამაზ ურთმელიძისგან, რომლის გადაწყვეტილებასაც თქვენც არ ეთანხმებით თურმე. თქვენ გაქვთ ყველანაირი უფლება. თუ არ მობრძანდებით აქ და არ შემოხვალთ ოფისში, დისტანციურად შეასრულოთ უფლება-მოვალეობები და ის ფინანსური ვალდებულებები, რაც კომპანიას აქვს, დისტანციურად მართოთ, რადგან თქვენ გაქვთ ყველანაირი წვდომა ბუღალტერიასთან. ჩვენ ეს აღარ გვაქვს უკვე მას შემდეგ, რაც თქვენ დაინიშნეთ დროებით მმართველებად. ასე რომ, კეთილი ინებეთ და შეასრულეთ თქვენზე დაკისრებული მოვალეობები“, — მიმართა უდუმაშვილმა დავით დვალსა და რეზო საყევარიშვილს. მისივე შეფასებით, „მათ სურთ, კომპანია საბოლოოდ შეიყვანონ ჩიხში“. „თუმცა, ბატონებო, ამას ვერ მოესწრებით, გპირდებით“,** — აღნიშნა უდუმაშვილმა.

◉ „თავისუფალი სიტყვა“

# უმუშევარი „დიდი ექსპერტის“ კიდევ ერთი „ბრძნული“ ნააზრევი

## „არ გამოვრიცხავ, რუსეთმა მოისურვოს ისლამური ხალიფატის განადგურება პოსტსაბჭოთა სივრცეში და დაბომბოს საქართველოს ტერიტორია“...

**„ის პოზიტიური მესიჯები, რომელიც მოვისმინეთ, არის ძალიან იმედისმომცემი“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ფედერიკა მოგერინის ვიზიტის შეფასებისას.**

**როგორც პრემიერმა აღნიშნა, უშუალოდ მოგერინის ჩართულობა არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის. როგორც ჩანს, ეს ვიზიტი მნიშვნელოვანია განსაკუთრებით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მეორე სხდომის წინ.**

**„მე მივდივარ ბრიუსელში. 16 ნოემბერს გვექნება ერთობლივი კონფერენცია, გვექნება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომა, სადაც დეტალურად განვიხილავთ სფეროების მიხედვით იმ პროგრესს, რომელსაც მივაღწიეთ“, — აღნიშნა პრემიერმა.**

**რა მხარდაჭერას უნდა ველოდეთ და რეალურად რა ტიპის თანადგომაა დღევანდელი გამოწვევების ფონზე აქტუალური საქართველოსთვის, ამ თემაზე ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი გვესაუბრება.**

**— საქართველოს პრემიერის განცხადებით, იმედისმომცემია ის პოზიტიური მესიჯები, რომელიც მოვისმინეთ ევროსაბჭოს წარმომადგენლისგან. თქვენი შეფასებით, ეს მართლაც ასეა თუ ევროპა ისევ გვამხნევებს? ან, ეს იმედი კონკრეტულად ვიზალიბერალიზაციაში გამოიხატება თუ, ზოგადად, დასავლეთის მხარდაჭერაზეა საუბარი?**

— ჩემი აზრით, უკვე გამოცდილმა პოლიტიკოსმა არჩია, გაემხნევებინა ჩვენი ხელისუფლება და მიეცა მისთვის შანსი, უფრო დამაჯერებელი ნაბიჯების გადასადგმელად იმ მიმართულებით, რასაც ჰქვია დემოკრატიული საქართველო.

რამდენად სწორად გაიგეს ეს გზავნილი, მალე შევიტყობთ, მაგრამ განსაკუთრებულ სატრაბახო თემას ვერ ვხედავ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ჩემმა კოლეგამ, რიგითმა მოქალაქემ და ჩემსავით უმუშევარმა ბიძინა ივანიშვილმა ამისთანა პრესკონფერენცია გამართა ფეხზე მდგომი ჟურნალისტების გარემოცვაში... ამასაც გადაუთარგმნიან, ბრიუსელშიც გაუგზავნიან, ვაშინგტონშიც და მერე გაუკვირდებათ, მცდარ ინფორმაციას რატომ უგდებენ ყურსო.

ვიზიტი რომ შედგა და გაუგებრობებს ადგილი არ ჰქონდა, მისაღებია. შედეგები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს ჩვენი ხელისუფლება უამრავი გამოწვევის პირობებში როგორც საშინაო, ასევე საგარეო ველში.

როცა ისლამური ხალიფატი საქართველოში უკვე „გურჯისტანის ვილაიეთს აარსებს“ ჩვენი ისლამისტების დახმარებით, ამ დროს ნებისმიერი მოქალაქე, რიგითი, გნებავთ, მაღალჩინოსანი, დაინტერესებული უნდა იყოს იმით, რომ დღის მთავარი თემა



არ იყოს პრეზიდენტის სასახლიდან გამოძევება.

**— მოგეხსენებათ, ფედერიკა მოგერინი არის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლი, როგორც ითქვა ის განსაკუთრებით დაინტერესდა რუსეთისგან მომავალი საფრთხეებით და ცდილობდა, დეტალურად მიეღო შეხვედრის თანამონაწილეებისაგან აღნიშნული ინფორმაცია. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხეების რისკი კიდევ უფრო იზრდება?**

— როგორც ჩანს, ეს იყო პროვოკაციების კრიალოსანი, რომლის არსენალიც საკმაოდ დიდი აქვს კრემლს, მაგრამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში სირიამ მიიპყრო მისი ყურადღება.

არ გამოვრიცხავ საწინააღმდეგოს — რუსეთმა თავად მოისურვოს ისლამური ხალიფატის განადგურება პოსტსაბჭოთა სივრცეში, სიამოვნებით დანალმოს და დაბომბოს საქართველოს ტერიტორია და შემდეგ გამართლებაც მისცეს აფხაზეთთან დადებულ ე.წ. ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობდა 15 ათასი ჯარისკაცის განლაგებას ე.წ. აფხაზეთის ტერიტორიაზე.

**— სხვათა შორის, ობამას თანაშემწემ სელესტ უოლანდერმა რუსული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნატო მზადაა საკუთარი წევრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ზომები მიიღოს. თუმცა ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ არ მიიღო ნატომ ანალოგიური ზომები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ, უოლანდერის განცხადებით, განსხვავება იმაშია, რომ 2008 წელს რუსეთი „საქართველოს იმ რაიონებში შეიჭრა, სადაც რუსული ჯარები იმყოფებოდნენ“. გამოდის, რომ საფრთხეების თვალსაზრისით, ჩვენთვის არაფერი შეცვლილა?**

— ცოტა დავიღალეთ კიდეც მუდმივი შეშფოთება-აღშფოთებით ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან. ყოველ შემთხვევაში, ინფორმაციის წყარო მათ უფრო მდიდარი აქვთ, ვიდრე ქართულ სახელმწიფოს. ვნახოთ, თავად როგორ გააგრძელებენ მშფოთვარე ვითარებაში ქმედებებს, რადგან დღევანდელი დედამიწა გამომდინარე ამ საუკუნის ტექნოლოგიებიდან, იმდენად დაპატარავებულია, რომ ყველა ყველასთან მეზობლობს და ყველა მეზობელს შეიძლება მიაყენოს მტკივნეული დარტყმა — ამიტომ, ჩვენ არ ვიქნებით გამონაკლისი, თუ არ მოვიქცევით გონივრულად და წინმსწრებად არ ავიცილებთ იმ საფრთხეებს, რომელიც კარსმომდგარია.

ამას კი სჭირდება პროფესიონალიზმი, შემართება და მხარდაჭერა და არა ქუჩა-ქუჩა ბრძნული აზრების ფრქვევა იმის თაობაზე, თუ როგორ „აბინძურებენ“ ზოგიერთი არასამთავრობო წარმონაქმნები ქართველ საზოგადოებას.

**— სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა ისიც თქვა, რომ აშშ საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორია და ყველანაირად ვცდილობთ დავარწმუნოთ ჩვენს გულწრფელობაში. ეს ფრაზა იმაზეც ხომ არ მეტყველებს, რომ ამ მიმართულებით კითხვები გაჩნდა?**

— ეს მეტყველებს იმაზე, რომ ახალ ხელისუფლებას თითქმის არაფერი გაუკეთებია სიმართლის შემცველი ინფორმაციის მისატანად დასავლელ პარტნიორებთან, თანაც წუხან იმ შედეგების გამო, რა ინფორმაციასაც ნაცმოძრაობა აწვდის დასავლეთს მათ შესახებ.

**ესაუბრა**
**მარიამ თოდაძე**

◉ ჯანდაცვა

# წამალს ისეთი ფასი ადევს, დაგაავადებს!

## საქართველოში მედიკამენტების ფასი გაიზარდა

**ამ ბოლო ხანს საქართველოში მედიკამენტების ფასი 5-დან 20 პროცენტამდე გაიზარდა.**

**აფთიაქებში ამბობენ, რომ ფასმა არა მხოლოდ სარეცეპტო, არამედ ურეცეპტოდ გასაცემ მედიკამენტებზეც მოიმატა. როგორც bpn-ს რამდენიმე აფთიაქში განუცხადეს, განსაკუთრებით გაძვირდა ჰიპერტენზიის საწინააღმდეგო საშუალებები. აფთიაქებში წამლებზე ფასის მატებას კვლავ ლარის გაუფასურებას უკავშირებენ.**

გაძვირებულ მედიკამენტებზე საუბრობენ მომხმარებლები, რომლებსაც ბოლო დღეებში მედიკამენტების შეძენა გაძვირებულ ფასად უწევთ. ზეინაბ ნასყიდაშვილი არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალება „დიკლოფეროლის“ მუდმივი მომხმარებელია. ის ამბობს, რომ ბოლო პერიოდში მისი ფასი თვალშისაცემია.

**„სახსრები მაწუხებს და მხოლოდ „დიკლოფეროლი“ მიყუჩებს ტკივილს. თითქმის ყოველდღიურად მოვიხმარ. თუმცა ბოლო პერიოდში იმდენად გაიზარდა მისი ფასი, რომ იშვიათად ვყიდულობ. ადრე ერთი ფირფიტა 5,3 ლარი ღირდა, ახლა 6,8 ლარი ღირს. ლარის გაუფასურებამ ყველაფერი გააძვირა და არც წამლები დარჩა გამონაკლისი“,** — განაცხადა ზეინაბ ნასყიდაშვილმა.



გაძვირებულ მედიკამენტებზე საუბრობს ზურა თვაური, რომელიც თვალის წვეთებს „სისტეინ ულტრას“ რეგულარულად მოიხმარს.

**„თუ ადრე „სისტეინ ულტრაში“ 11 ლარს ვიხდიდი და ახლა მისი ფასი 19 ლარამდე გაიზარდა. აღარაფერს ვამბობ სხვა მედიკამენტების გაძვირებაზე“,** — განაცხადა ზურა თვაურმა, რომელიც წამლებზე ფასის მომატებას რეცეპტულ სისტემას უკავშირებს.

მცირედით, თუმცა მაინც არის გაძვირებული ბავშვის ხველების წამალი „პუროქსანი“.

მედიკამენტები გაძვირდა, როგორც პატარა, ისე ქსელურ აფთიაქებში, თუმცა დიდ აფთიაქებში მოქმედებს ფასდაკლება, რომელსაც ყველა აფთიაქი სხვადასხვა დღეს აცხადებს და ისიც გარკვეული სახის მედიკამენტებზე.

**თიკო გურაშვილი**





# ახალი „კავკასიური ცარცის წრე“...

## პრეზიდენტი ათონელზე გადასვლას მართლა არ აპირებს?!

**„ეს უნდა დასრულდეს და დასრულდება იმის მიუხედავად, მას ეს სურს თუ არ სურს“, — ასე გამოეხმაურა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ათონელის საპრეზიდენტო რეზიდენციაში პრეზიდენტის გადასვლის საკითხს. ათონელის საპრეზიდენტო რეზიდენციის აშენებისთვის სახელმწიფომ 26 მილიონი დახარჯა, თუმცა, ამის მიუხედავად გიორგი მარგველაშვილი არ აპირებს გამოვიდეს ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციიდან, რომელიც ექს-პრეზიდენტის ინიციატივით 2009 წელს აშენდა.**

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტის უარი ათონელის რეზიდენციაში გადასვლასთან დაკავშირებით ცინიზმის ძალიან მაღალი დონეა.

**„ამაზე დღეს ველარ დავხარჯავ დიდ დროს, უფრო საინტერესო თემებზე მკითხეთ. მაგრამ, მთავარი, რასაც მე ვხედავ, არის ის, რომ ყველამ უნდა დაიცვას კანონი, პატივი სცეს ქართულ სახელმწიფოს და პირველ რიგში — პრეზიდენტმა. კომერციული ნაწილიც უნდა შეფასდეს, 10 მილიონს გადასცდა და ამბობს, რომ მოქალაქეების დასაცავად აკეთებს.**

**აქაც ცინიზმის ძალიან მაღალი დონეა. რა თქმა უნდა, ეს უნდა დასრულდეს და დასრულდება, მას ეს სურს, თუ არ სურს. სახელმწიფო სახელმწიფო უნდა იყოს და სტრუქტურებმა უნდა განახორციელონ თავისი უფლებამოსილება. თავის დროზე მთავრობამ განაცხადა, რომ კანონიერი ქმედებისგან თავს შეიკავებს. დადგება ეგ დროც“,** — განაცხადა **ბიძინა ივანიშვილმა.**

ივანიშვილს არ დაუკონკრეტებია რას გულისხმობდა, როდესაც აღნიშნა — **„იმის მიუხედავად, მას სურს თუ არა, ეს საკითხი დასრულდება“.**

შეგახსენებთ, რომ ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინ ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ პრეზიდენტის რეზიდენციის საკითხზე მთავრობის გადაწყვეტილებას ელოდება, ამ პროცესის გაჭიანურების შემთხვევაში კი, „ხმის ამოღებას“ აპირებს.

ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილს ნამდვილად აქვს უფლება, შეშფოთება გამოთქვას პრეზიდენტის დამოკიდებულებაზე ათონელზე მდებარე რეზიდენციასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, დაკეტილი შენობის შენახვაზე ყოველთვიურად ფული იხარჯება.

**„ბატონ ბიძინას ნამდვილად აქვს უფლება, რომ შეშფოთება გამოთქვას ამ მიმართულებით. ერთადერთი, რაც შემიძლია მე დავამატო და დავამატო გულისტკივილით, არის ის, რომ ეს შენობა ძალიან კარგადაა გაკეთებული. მასზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ძალიან დიდი ფულია დახარჯული, თუ არ ვცდები 26 მილიონი, დღესდღეობით კი დაკეტილია და ჩვენ ყოველთვიურად ფულის დახარჯვა გვიწევს იმისთვის, რომ აღნიშნული შენობის შესაბამის მდგომარეობაში შენახვა მოვახერხოთ. ამიტომ სასურველია, რომ გადაწყვეტილებები საკმაოდ სწრაფად იქნეს მიღებული“,** — აღნიშნა **დიმიტრი ქუმსიშვილმა.**

თავის მხრივ ათონელის საპრეზიდენტო რეზიდენციაში გადასვლასთან დაკავშირებით, პოზიციას არ იცვლის გიორგი მარგველაშვილი. პრეზიდენტის მრჩეველი კახა კოჟორიძე აცხადებს, რომ ათონელის რეზიდენციის ბედი პრეზიდენტის ადმინისტრაციას არ ეხება. კოჟორიძის განმარტებით, ამ კითხვის ადრესატი არ არის არც პრეზიდენტი და არც მისი ადმინისტრაცია, არამედ კითხვა ეხება მთავრობას. საქართველოს პრეზიდენტი პოზიციის შეცვლას არ აპირებს.

**„ჩვენ დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ ოფიციალური წერილობითი პასუხი გავეცით, რომ პრეზიდენტი სადმე სხვაგან გადასვლას არ აპირებს და ეს პოზიცია არ შეცვლილა. ამ კითხვის ადრესატები არიან მთავრობის წევრები, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ ათონელის ბედი. ათონელის რეზიდენციის თუ შენობის ბედი არ ეხება პრეზიდენტის ადმინისტრაციას. პრეზიდენტი რომ იქ არ გადადის, ეს საზოგადოებისთვის ცნობილია“,** — განაცხადა **კახა კოჟორიძემ.**

ივანიშვილის ყოფილი მრჩეველს გია ხუხაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ პრემიერს ხშირად გამოუთქვამს ამ საკითხზე თავისი მოქალაქეობრივი პროტესტი, მთავრობის მხრიდან არანაირი გადაწყვეტილება არ არის მიღებული და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან მისი თქმით, შეუძლებელია მთავრობის მხრიდან ისეთი აქტის მიღება, რითაც იძულება გახდება ლეგალურად შესაძლებელი.

**„პრეზიდენტს აქვს თავისი პოზიცია. ბიძინა ივანიშვილს როგორც მოქალაქეს, აქვს თავისი პოზიცია, რომელიც არ სცდება მოქალაქის პოზიციას. მთავარია, რომ ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელი არ ამბობს ამას. არ მესმის რა განსხვავებაზეა საუბარი. პრეზიდენტი ათონელზე იქნება თუ ავლაბრის რეზიდენციაში, ხარჯები ამით რატომ იცვლება და მით უმეტეს, რა 10 მილიონზეა ლაპარაკი, ჩემთვის ცოტა უცნაურია.**

**თუ ბატონი ბიძინა გვეტყვის, რას გულისხმობს ამ 10 მილიონში, კარგი იქნება. შეიძლება მან იცის ისეთი რაღაცა, რაც ჩვენ არ ვიცით. კარგი იქნება უფრო სრულად გვაჩვენოს, რაშია განსხვავება. ათონელზე იქნება თუ ავლაბარში, შუქი და წყალი იქაც ჭირდება. შესაბამისად, განსხვავება რომც იყოს, ეს იქნება ძალიან მიზერული, რაც სალაპარაკოდ არც ღირს. პრეზიდენტის ხარჯები არ განისაზღვრება იმით, რომელ რეზიდენციაში იქნება“,** — აცხადებს **გია ხუხაშვილი** და დასძენს, რომ ათონელის რეზიდენცია ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და შესაბამისად, თავადვე უნდა მოუძებნონ შენობას ფუნქცია.

**„პრეზიდენტმა ცალსახად თქვა, რომ ის რეზიდენციის შეცვლას არ აპირებს. ახლა უკვე ეკონომიკის სამინისტროს თავის ტკივილია, როგორ დაასაქმებს ამ შენობას — რომელიმე სხვა უწყებას გადაიყვანს თუ სხვა ფუნქციას მოუძებნის. ეს მათი საფიქრალია და არა პრეზიდენტის“,** — აცხადებს ხუხაშვილი.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** თვლის, რომ საპრეზიდენტო რეზიდენციის საკითხი ივანიშვილი-მარგველაშვილის ურთიერთობაში უფრო დიდ ემოციურ მუხტს ატარებს, რომლის გარედან დანახვა შეუძლებელია. მისი თქმით, ყველა ამ კითხვებზე პასუხი ამ ორი პირისა და მათ ემოციებში გარკვევის გარეშე ძნელია.

**„პრინციპში, ჩვენ ვუყურებთ მხოლოდ ჭიდაობას იმაზე, შევა თუ არა ათონელის საპრეზიდენტო რეზიდენციაში მარგველაშვილი. დავუშვათ, შევიდა ათონელზე მარგველაშვილი, ასეთ შემთხვევაში რას ვუშვრებით არსებულ რეზიდენციას, სადაც ახლა არის? ერთმანეთთან ჭიდაობას ჯობია, შემოგვთავაზონ რაღაცა კონცეფცია.**

**ჩვენ კავკასილები ვართ, ნანახი გვაქვს „კავკასური ცარცის წრეც“, გვახსოვს ის სცენა, როდესაც თავის პრეტენზიაზე უარი თქვა რეალურმა დედამ და არა იმან, ვინც დედობას იბრალებდა. უარის თქმა ხანდახან უფრო დიდი სიყვარულის ნიშანია და მათ შორის ქვეყნის სიყვარულის. მიმაჩნია, თუ თავის ნაბიჯზე უარს იტყვის პრეზიდენტი, გაცილებით მეტს მოიგებს საზოგადოების გულში, როგორც პრეზიდენტი, ვიდრე გააგრძელოს ჭიდაობა ამ საკითხის გარშემო“,** — აღნიშნა საუბრისას რამაზ საყვარელიძემ.

**თამთა ქარჩავა**

# „რუსთავი-2“ სიცრუის გზას არ ღალატობს!

**(პირველი გვერდიდან)**

**აღნიშნული გარემოება თავისუფლად შეიძლება გადამოწმდეს ნებისმიერ ინტერნეტ მომხმარებელის მიერ და ამას არ სჭირდება რაიმე სპეციალური ცოდნა.**

**აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გადაცემა „განსხვავებული აქცენტების“ წამყვანის ეკა კვესიტაძის თქმით, მის გადაცემაში გასული მიმოწერა უნდა იყოს „სავარაუდოდ“ 2012 წლის სექტემბრის თვეში განხორციელებული. ამ პერიოდში კი, ჯღარკავასა და ბედუკაძის განცხადებით, ისინი საერთოდ არ იცნობდნენ ერთმანეთს, რაც დაადასტურეს სხვა გამოკითხულმა პირებმაც. ასევე, ნინო ჯღარკავამ და ვლადიმერ ბედუკაძემ დაადასტურეს 2012 წლის 30 ოქტომბრიდან „ფეისბუქის“ საშუალებით მათ შორის, მიმოწერის არსებობის ფაქტი, თუმცა განმარტეს, რომ რეალური მიმოწერა ატარებდა სულ სხვაგვარ შინაარსს და „განსხვავებულ აქცენტებში“ გასულ მიმოწერასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა, რაც დადასტურდა მათ შორის „ფეისბუქის“ საშუალებით რეალურად არსებული მიმოწერის დათვალიერებით.**

**დანაშაულის ნიშნების არსებობის გადამოწმების შემდგომ პროკურატურამ სამართლებრივად შეაფასა ფაქტი. კერძოდ: იმის გათვალისწინებით, რომ „ფეისბუქ“ მიმოწერა ერთმნიშვნელოვნად გაყალბებულია და რეალურად ასეთი საუბარი არ ყოფილა, არ მომხდარა კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევაც. შესაბამისად, ვინაიდან არ გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, გამოძიება ამ ფაქტზე ვერ დაიწყება. ამასთანავე „ფეისბუქ“ მიმოწერა „სქრინშოთების“ სახით არ არის ოფიციალური დოკუმენტი, შესაბამისად არ არის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებიც, რაც გულისხმობს ოფიციალური დოკუმენტის გაყალბებას.**

**შესაძლებელია გაყალბებული მიმოწერა შეიცავდეს ამა თუ იმ პირის პატივისა და ღირსების შემლახავ ინფორმაციას, თუმცა ამ კატეგორიის დავა განეკუთვნება სამოქალაქო სამართლებრივ სფეროს და სცილდება პროკურატურის კომპეტენციას. ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართოს სასამართლოს“.**

**ალიან-ჩალიანი**

## პრეზიდენტის ინსტიტუტს პატივს ვცემ, მაგრამ მან თავის განცხადებებს უნდა გადახედოს!

**დეპუტატი გია ვოლსკი საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს საკუთარი განცხადების გადახედვას ურჩევს. როგორც პლენარულ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გია ვოლსკიმ აღნიშა, პატივს სცემს პრეზიდენტის ინსტიტუტს, თუმცა მარგველაშვილმა მმართველ გუნდთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს უნდა გადახედოს.**

**„იმ საკითხზე საუბარი ძალიან არ მსიამოვნებს, რაზეც ყურადღება უნდა გავამახვილო. ჩემსა და ჩემი კოლეგების მიმართ რამდენიმე კითხვა დაისვა, როგორ ვაფასებთ საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებს. პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ პატივისცემას ვადასტურებ, მაგრამ პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქართველი საზოგადოება, მთელი არასამთავრობო ორგანიზაცია და ყველა პარტია, გარდა კოალიციისა, დგას ერთ პოზიციაზე და თურმე ჩვენ გავეყარეთ, გავემიჯნეთ ყველას. ვფიქრობ, რომ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ამ საკითხზე კიდევ ერთხელ უნდა გადახედოს თავის პოზიციას, რადგან მის პოზიციას უსმენენ. მინდა, ჩემს უკრაინელ კოლეგებს მივმართო, როგორ მოეწონებოდათ, რომ იანუკოვიჩი საქართველოში მაღალ პოზიციაზე იყოს და პირდაპირ სისხლისღვრის ორგანიზებას გეგმავდეს უკრაინის ტერიტორიაზე“, — განაცხადა გია ვოლსკიმ პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.**

## ოკუპირებული სამხრეთ ოსეთი სირიასთან თანამშრომლობას აპირებს

**როგორც ოსური მედია იტყობინება, რუსეთში სირიის ელჩი რიად ჰადადი და ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. ელჩი ზნაურ გასიევი ერთმანეთს მოსკოვში შეხვდნენ, რა დროსაც „სახელმწიფოთა შორის ორმხრივი ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობებზე იმსჯელეს“.**

**ე.წ. საელჩოში აცხადებენ, რომ სირიის ელჩმა „აღფრთოვანება გამოთქვა სამხრეთ ოსეთის ხალხის ბრძოლის გამო დამოუკიდებლობისთვის“ და მარიონეტული რეჟიმის ლიდერს ლეონიდ თიბილოვს პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადისა და სირიელი ხალხის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.**

**ინტერპრესი**



# რათა სამართლებრივი ჩიხი არ შეიქმნას

## არავის აქვს უფლება, ხელყოს და ფეხქვეშ გათელოს სასამართლოს დამოუკიდებლობა

**„ეს მორალური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც ურთმელიძეზე ხორციელდება, იმ მოსამართლეებზეც ახდენს გავლენას, რომლებსაც სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში მოუწევს ამ საქმის განხილვა“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ევა გოცირიძე, რომლის განცხადებით, გამოხატვის თავისუფლება არის ძალიან დიდი ღირებულება, მაგრამ ის შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს ავტორიტეტის და დამოუკიდებლობის დასაცავად.**

**for.ge ევა გოცირიძეს ესაუბრა.**

**— მოწვევის მიუხედავად, მოსამართლე თამაზ ურთმელიძე არ გამოცხადდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე. ზოგადად, რამდენად სწორია, როდესაც ასეთი გახმაურებული საქმის განმხილველი მოსამართლე არ ცხადდება იუსტიციის საბჭოში?**

— ბატონი თამაზ ურთმელიძე მართლაც არ ყოფილა დაბარებული. ის იყო მოწვეული. ყოველ შემთხვევაში, ასე განმარტა ქალბატონმა ნინო გვენეტაძემ, რომ მისი მოწვევა ნამდვილად არ ემსახურებოდა კონკრეტულ საქმეზე ანგარიშის მოთხოვნას. აქ ჩაფიქრებული იყო მხოლოდ ის, რომ მისთვის დაესვათ შეკითხვები მართლაც ხომ არ ხორციელდებოდა ვინმეს მხრიდან ზეწოლა, ან გააჩნდა თუ არა სირთულეები ორგანიზაციული თუ სხვა თვალსაზრისით.

ამის მიუხედავად, მე ვფიქრობ, რომ მისი მოწვევა მაინც არ იყო სწორი, რადგან ძალიან ძნელია საზოგადოებას განუმარტო, ან დააჯერო, რომ მოსამართლის აქ მოწვევა და მასთან გასაუბრება არ იყო დაკავშირებული ამ კონკრეტულ საქმეზე ანგარიშის მოთხოვნასთან და ა.შ.

**— ანუ თქვენ თვლით, რომ მოსამართლემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც არ გამოცხადდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე?**

— რა თქმა უნდა. ძალიან სწორად მოიქცა ბატონი თამაზი, როდესაც უარი განაცხადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მოსვლაზე და გამოგზავნა წერილობითი დასაბუთებულობა, სადაც განმარტა, რომ ნებისმიერი ჩემი მოსვლა და კონტაქტი საბჭოსთან, ამ შემთხვევაში, შეიძლება იყოს აღქმული როგორც ჩემთვის ანგარიშის მოთხოვნაო და მთლიანად ვეთანხმები ამაში. მართლაც ძნელია, მით უმეტეს, როდესაც კეთდება ერთმნიშვნელოვანი განცხადება და, ამის მიუხედავად, სულ სხვაგვარი ინტერპრეტაციით მიდის საკითხის განხილვა მედიაში, ხდება საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება.

სწორედ ამის და იმის გათვალისწინებითაც, რომ საქმეზე დასრულებული არ არის სამართალწარმოება, მიმაჩნია, რომ იუსტიციის საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობა სწორი გადაწყვეტილება იყო. იგივე, ამ საქმეზე თამაზ ურთმელიძეს გამოსატანი აქვს სხვა გადაწყვეტილებაც, ვგულისხმობ მის ბოლო განჩინებას, რომელსაც მოპასუხე მხარე გაასაჩივრებს. შესაბამისად, ტაქტიკურად გამართლებული არ იყო მისი მოწვევა.

**— მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც საუბარია, რომ ხელისუფლება ჩაერია ამ განაჩენის მიღებაში, მის გამოცხადებას, ალბათ, იგივე დასავლეთი აღიქვამდა, როგორც ზეწოლას?**

— რა თქმა უნდა, და საბჭოს სხდომაზეც სწორედ მაგას გავუსვი ხაზი, რომ ძალიან ხშირად ხდება სამართლებრივი საკითხების არაკომპეტენტური კრიტიკა, მათ შორის სასამართლოს სამართლებრივ ღირსებებზე მსჯელობა. ხშირად ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების არასწორი განმარტება, ვიღაცა ამას აიტაცებს და გულწრფელად იჯერებს, რის შემდეგაც იწყება სასამართლოს და მოსამართლის ზღვარსგადასული ლანძღვა, რაც პირდაპირ ახდენს გავლენას სასამართლოს დამოუკიდებლობაზე.

ფაქტობრივად, მოსამართლე ურთმელიძე ანათემას გადაეცა. მით უმეტეს, რომ საქმეზე არ არის დასრულებული სამართალწარმოება, ეს მორალური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც ურთმელიძეზე ხორციელდება, იმ მოსამართლეებზეც ახდენს გავლენას, რომლებსაც სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში მოუწევს ამ საქმის განხილვა. არავინ მოიწადინებს ამ საქმეზე ისეთი განაჩენის დადგომას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი შინაგანი რწმენა ისეთი იქნება, როგორიც ბატონი ურთმელიძის იყო.

ყველა მოერიდება ამ საქმეზე განაჩენის გამოტანას იმ მოტივით, რომ თვითონაც არ გახდეს ისეთი შეურაცხყოფის მოტივი, როგორც გახდა ურთმელიძე. ამიტომ არის ძალიან საშიში სასამართლოს ასეთი ლანძღვა და კრიტიკა. საზოგადოდ სასამართლოს წესრიგი და ავტორიტეტი არის ის ღირებულება, რომელიც კონვენციის საფუძველზე უნდა იქნას გათვალისწინებული და თვით გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს წესრიგისა და ავტორიტეტის დასაცავად.

**— სწორედ, ამ განცხადების გამო თქვენ გაგაკრიტიკათ საიამ და განაცხადეს, რომ ეს არის არაევროპული მიდგომა...**

— ამაზე შემიძლია მხოლოდ გავიღიმო. ეს იმდენად ცხადი და გასაგებია, რომ კომენტარიც ზედმეტია. ეს მითითებულია ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლში და ამ სტანდარტით ხელმძღვანელობს დღეს მსოფლიო. მაშინ გააუქმონ კონვენცია. საქმე იქითკენ მიდის, რომ რა მუხლის გამოყენებაც დასჭირდათ ამ საქმეზე ადვოკატებს, ყველა ანტიკონსტიტუციურად ცნეს. ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ეროვნულ კონვენციასაც გააუქმებენ.

**— ის კამპანია, რომელიც სასამართლო განხილვის პარალელურად მიმდინარეობდა ურთმელიძის წინააღმდეგ, დედის თემა, გარდაცვლილი და, მისი არასრულწლოვანი დისშვილი... განცხადება, რომ მოსამართლე არის კორუფციაში ჩართული, ეს იყო თუ არა ზეწოლა მოსამართლეზე, რომ მას არ მიეღო ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო. ურთმელიძის შემთხვევაში „რუსთავი-2“-მა დაარღვია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი?**

— იცით რა, ცალკეული განცხადება შეიძლება მოსათმენი იყოს, ზოგადად, შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკა, მაგრამ ერთობლიობაში ამან შეიძინა უკვე მოსამართლის დაშანტაჟების შინაარსი და ეს აბსოლუტურად მიუღებელია. გამოხატვის თავისუფლება არის ძალიან დიდი ღირებულება, მაგრამ ის შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს ავტორიტეტის და დამოუკიდებლობის დასაცავად.

თუ გვეყოლება შეშინებული მოსამართლეები, რომლებსაც შეეშინდებათ ისეთი გადაწყვეტილების მიღების, რომელიც შეიძლება ვიღაცას არ მოეწონოს, მაშინ მათ გაუჭირდებათ შინაგან რწმენაზე გამყარებული გადაწყვეტილების გამოტანა. სამართლებრივი საკითხების განხილვა უნდა მოხდეს მხოლოდ სასამართლოში, ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც სამართლებრივი საკითხები უნდა გადაწყდეს.

ასევე ძალიან საშიშია ის ტენდენცია, რომელიც შეინიშნება — თითქოსდა მარათონში ჩაებნენ საერთო სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო, არ მინდა, ამას დაპირისპირება ვუწოდო, მაგრამ სრულიად განსხვავებული პოზიციები ყალიბდება და ამან შეიძლება წარმოქმნას სამართლებრივი ჩიხი. ყველას მოეთხოვება გონივრულობა და სამართლის უზენაესობის დაცვა. მოსამართლე ურთმელიძეზე ყოველი მხრიდან ხორციელდება წარმოუდგენელი ზეწოლა. მიკვირს, როგორ უძლებს ის ამდენ ზეწოლას.

**— რამდენად სწორად მიგაჩნიათ იგივე ჩვენი პარტნიორების მხრიდან მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერებაზე მსჯელობა? მით უმეტეს, როდესაც კეთდება შეფასება, რომ ურთმელიძის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაც არ შეესაბამება რეალობას...**

— ყველას მოეთხოვება თავის შეკაება, მით უმეტეს ვგულისხმობ დემოკრატული ქვეყნების წარმომადგენლებს, სადაც ასეთი რამ დაშვებულია. ჩვენ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, გვევალება მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა იმიტომ, რომ არავის მივცეთ უფლება, არც პოლიტიკოსებს, არც ხელისუფლებას და არც უცხოელებს, რომლებიც უცხოეთიდან აკეთებენ განცხადებას იმის შესახებ, რომ ურთმელიძის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ეს არის აბსურდი.

როდესაც საერთაშორისო სასამართლო იხილავს ასეთ საკითხებს, მას აქვს სერიოზული თვითშეზღუდვა. ის ამბობს, ეს ის თემებია, რომელიც არ შეიძლება მე ვიცოდე კარგად, ვიდრე ეროვნულმა მოსამართლემ და ამიტომ არ ჩავერევი მის შეფასებებში. ჩვენ ახლა უნდა ვაჩვენოთ ჩვენი სტანდარტები და ვუთხრათ, რომ ამის უფლება არ აქვთ. არავის აქვს უფლება, ხელყოს და ფეხქვეშ გათელოს სასამართლოს დამოუკიდებლობა, პრესტიჟი და მართლმსაჯულების ინტერესი.

**თამთა ქარჩავა**

პოზიცია

# ისტორიის უსწავლელი გაკვეთილები – როცა საქმეში „რ-2“-ა

**საქართველოში, ალბათ, არ მოიპოვება პოლიტიკით დაინტერესებული ადამიანი, რომელსაც არ სმენია, თუ როგორ გადადიოდა სააკაშვილის მმართველობის დროს გარდამავალი წითელი დროშასავით ხელიდან ხელში ტელეკომპანია „რუსთავი- 2“ ერთი ფორმალური მმართველიდან მეორე ფორმალურ მმართველამდე, პრეზიდენტყოფილის ნების შესაბამისად. ის, რომ ადრე თუ გვიან „რუსთავი-2“-ის ყოფილი მესაკუთრეები საკუთარი ქონებრივი უფლებების აღდგენისთვის ბრძოლის დაწყებას აპირებდნენ, ჯერ კიდევ არსებული ხელისუფლების მოსვლამდე, 2009-2010 წლებში მათივე განცხადებებიდან იყო ცნობილი. ამიტომ ამ საკითხზე სასამართლო დავის დაწყება არ იყო მოულოდნელი და არასწორია, რომ ეს პროცესი ერთმნიშვნელოვნად განიხილებოდეს, როგორც მედიის თავისუფლების, ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლების და, მითუმეტეს, ტელევიზიაში მომუშავე ჟურნალისტთა უფლებების (რაც საერთოდ აბსურდად მიმაჩნია) შეზღუდვის მცდელობად.**

არც იმას ვფიქრობ, რომ არხის დღევანდელი მფლობელები და მმართველები საქართველოში სიტყვის თავისუფლების გარანტები არიან, ხოლო მომჩივანი მხარე — ამ იდეალების მტრები, რომელთა გამარჯვების შემთხვევაშიც ჩვენ ხელისუფლების მაამებელ ტელევიზიას მივიღებთ. აი ისეთს, როგორიც წლების განმავლობაში თავად „რუსთავი-2“ იყო სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში. ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, პოლიტიკური სპეკულაციებია, რომელსაც სააკაშვილი და მისი გუნდი ტელევიზიის შენარჩუნებისა და ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის მიმართავს. ამ ვითარებაში მით უმეტეს აუცილებელი იყო, ასეთი რეზონანსული სასამართლო პროცესის დაწყებამდე, ტელევიზიის საკუთრებაში დაბრუნების მსურველებს აქტიურად ემუშავათ, რათა საზოგადოებაში არ გაჩენილიყო იმის შიში, რომ ტელევიზიის ძველი მფლობელების საკუთრების უფლების აღდგენა იქნებოდა გამოყენებული სიტყვის თავისუფლების, ჟურნალისტთა უფლებებისა თუ პროფესიული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ეს მითუმეტეს აუცილებელია ჩვენი უახლესი წარსულის ნეგატიური გამოცდილებიდან გამომდინარე, როცა არხის მფლობელების შეცვლა რადიკალურად აისახებოდა ტელევიზიის სარედაქციო და საინფორმაციო პოლიტიკაზე (გავიხსენოთ წინა ხელისუფლების დროს თუნდაც „იმედი“, „მზე“ და ა.შ.). ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო შესაბამისი საერთაშორისო ინსტიტუტების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ადგილობრივი თუ უცხოური უფლებადამცვითი ორგანიზაციების მუდმივი ინფორმირება არხის მფლობელობის პრეტენდენტების მხრიდან, როგორც მათთვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევის პროცესის ახსნის მიზნით, ისე მათ სამომავლო გეგმებზე ტელევიზიის მომავალთან მიმართებით. ეს მით უფრო აუცილებელი იყო იმიტომ, რომ ნებისმიერმა ასეთმა მოვლენამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა შეიძლება იქონიოს ქვეყნის დემოკრატიულ იმიჯსა და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის წარმატებით გაგრძელებზე. ფაქტია, რომ, რაც არ უნდა სამართლიანად მიაჩნდეს მოდავე მხარეს საკუთარი ქმედებები, საზოგადოებრივი აზრის იგნორირება და ქვეყნის გარეთ საინფორმაციო ომის წაგება მნიშვნელოვნად ართულებს მისი მიზნის მიღწევას, დარტყმის ქვეშ აყენებს საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯს.

ფაქტია, რომ საზოგადოებას ამ პროცესმა ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა გაუჩინა, განსაკუთრებით დროებითი მმართველების დანიშვნის პროცესში.

ვის ინტერესში იყო ახლა დროებითი მმართველების დანიშვნა?

ისედაც მძიმე სასამართლო პროცესში (სიმძიმეში ვგულისხმობ ნებისმიერ სამართლებრივ დავას, რომელიც გავლენიანი მედიასაშუალების მფლობელობისათვის ბრძოლას ეხება) დროებითი მმართველების დანიშვნამ ვითარება კი არ განმუხტა, არამედ უფრო დაამძიმა.

„რუსთავი-2“-ის ახლანდელ მფლობელთა მიზანია დავა ტელევიზიის გარშემო წარმოაჩინოს არა როგორც ძველი მესაკუთრეების მიერ უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებისათვის ბრძოლად, არამედ სასამართლოს გამოყენებით, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის ჩახშობისა და მისი სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის სურვილად. ამ გზით უნდა მოხდეს ხელისუფლების დისკრედიტაცია ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, თან, შეძლებისდაგვარად, დაპირისპირების გზით პოლიტიკურ კრიზისსა და რევოლუციურ სცენარში გადაიზარდოს მთელი ეს პროცესი. როცა ეს ყველაფერი ცნობილია (ფარულ ჩანაწერებში სააკაშვილი გვარამიასთან სწორედ ამ სცენარზე საუბრობს), გასაკვირი მხოლოდ ის არის, რატომ იღებს მეორე მხარე გადაწყვეტილებებს, რომელიც უფრო უადვილებს პრეზიდენტყოფილს თავისი მიზნის მიღწევას?

რატომ მოხდა ასე ნაუცბათევად დროებითი მმართველების დანიშვნა? მოსამართლის ჩანაწერმა, მიენიჭებინა დროებითი მმართველებისთვის ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრის უფლება, ხომ უფრო მეტი არგუმენტი მისცა გვარამია-სააკაშვილის მხარეს, საქვეყნოდ განეცხადებინათ, რომ სასამართლო პროცესის ერთადერთი მიზანი ტელევიზიის მფლობელების ვინაობის საბოლოო გარკვევამდე „რუსთავის-2“-ის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა იყო?

იხ. 6 გვ.

# ალექსანდრე თვალჭრელიძე:

# მიმდინარეობს არა მედიის შეზღუდვის, არამედ, პირიქით, ფართო გაგებით, მედიის თავისუფლების საბოლოო უზრუნველყოფის პროცესი



**საშინაო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსს, ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ალექსანდრე, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა თბილისში ვიზიტისას განაცხადა — „აზერბაიჯანს გაზი იმდენი აქვს, რომ 100 წელი შეუძლია, უზრუნველყოს თავისი თავი, მეზობლები და ევროპა“. მას შემდეგ, რაც ჩვენთან საქართველოს გაზის ბაზარზე „გაზპრომის“ სავარაუდო დაბრუნების თემა ხმაურით განიხილებოდა, თქვენ როგორ აღიქვით პრეზიდენტ ალიევის ეს განცხადება და საერთოდ, თქვენი ვარაუდით, რით დასრულდება ვიცე-პრემიერ კახი კალაძის განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველო „გაზპრომისაგან“ დამატებით გაზს მიიღებს?**

— BP-ის 2015 წლის მსოფლიო ენერგეტიკის სტატისტიკური წელიწდეულის თანახმად, აზერბაიჯანის ბუნებრივი აირის მარაგი 1.2 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. ამასთან, იგი ყოველწლიურად 16.9 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს აწარმოებს და 9.2 მილიარდს მოიხმარს. იგი 6 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს სამხრეთ კავკასიის (შაჰ-დენიზ-თბილისი-ერზერუმის) გაზსადენით თურქეთს აწვდის. ამ ძალიან ზოგადი ინფორმაციიდან სამი პრინციპული დასკვნის გაკეთება შეიძლება: 1. იმისთვის, რომ აზერბაიჯანმა მხოლოდ დღევანდელი მოცულობით თურქეთი და საქართველო გაზით მოამარაგოს, მან რუსეთისგან ყოველწლიურად სულ მცირე 1 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა შეიძინოს (ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით); 2. არსებული ექსპორტის მოცულობები აშკარად არასაკმარისია და მხოლოდ იმისთვის, რომ აზერბაიჯანმა სამხრეთ კავკასიის მილსადენის შეთანხმებები დააკმაყოფილოს (30 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდება თურქეთისთვის), მან გაზის მოპოვება სულ მცირე უნდა გაასამმაგოს, ამ შემთხვევაში კი მისი გაზის მარაგი ამოიწურება 34 წელიწადში, ასე, რომ პრეზიდენტ ალიევის განცხადება პოლიტიკურია და ტექნიკურ პარამეტრებზე დაფუძნებული არ არის; 3. როგორც ვნახეთ, აზერბაიჯანის გაზის ბაზარი არამდგრადია და საქართველომ თავისი ენერგოუსაფრთხოებისთვის, ჯერ ერთი, მძლავრი მიწისქვეშა გაზის საცავი უნდა ააშენოს და მეორეც, მან აუცილებლად უნდა გამონახოს გაზის ალტერნატიული წყაროები. ამ მიმართულებით, ჩვენ ძალიან სერიოზულად ირანთან თანამშრომლობაზე უნდა ვიფიქროთ. რაც შეეხება „გაზპრომს“, ჩვენ დღეს ვიღებთ მისგან გაზის იმ მოცულობას, რომელიც სომხეთში გაზის ტრანზიტის საფასურია. უნდა ვენდოთ, თუ არა „გაზპრომს“, ეს მთავრობის პასუხისმგებლობაა. მე, მაგალითად, ასეთ პასუხისმგებლობას ჩემ თავზე აშკარად არ ავიღებდი და გაზის სხვა მომწოდებლებთან ჩავატარებდი სერიოზულ მოლაპარაკებებს.

**— ვინაიდან თქვენ ხშირად გთხოვთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე თქვენეული ხედვის გაზიარებას, მინდა გკითხოთ, ეკონომიკურ საკითხებზე ხელისუფლების მიერ მიღებულ რომელ გადაწყვეტილებას მოიწონებდით და რომელს პირიქით, დაიწუნებდით? თანაც, იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც დღეს მსოფლიო პოლიტიკაში და, შესაბამისად ეკონომიკაში ხდება, თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული ეკონომიკის სფეროს გაძლიერებისათვის, უპირველესად, რა გადაწყვეტილებებს მიიღებდით?**

— ამ კითხვაზე რამდენჯერმე უკვე გაგეცით პასუხი და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება თქვენ მკითხველს ერთი და იგივეს ტლუ გამეორებით თავი მოვაბეზრო, მაინც მოკლედ გეტყვით შემდეგს — როგორც დაწერა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, „მე იგივე ვარ მარად და მარად“, მეც ჩემი აზრი არ შემიცვლია და, აქედან გამომდინარე, ვერ მოვიწონებ მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას მთლიანობაში, უფრო ზუსტად, მე ასეთს საერთოდ ვერ ვხედავ. აიღეთ თუნდაც ლარის პერიპეტიები, მთავრობის უმოქმედობით იქმნება კრიტიკული სიტუაციები და შემდეგ მთავრობის გმირული თავგანწირვის შედეგად ხდება ამ სიტუაციების ავი თუ კარგი განმუხტვა. ჩვენ არა ხავერდოვნად, არამედ ნახტომისებურად ვმოქმედებთ მთავრობის პერმანენტული „ცუგცვანგის“ პირობებში.

ჩემი დაკვირვებითა და აზრით, მთავრობა არც ერთი ექსპერტის მოსაზრებას საერთოდ არ ეცნობა. საქართველოს ძალიან სწრაფი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა საკმაოდ ადვილია და მე მიამიტურად არ მესმის, ამას რატომ არ აკეთებდა არც ერთი მთავრობა დამოუკიდებლობის მიღწევის დღიდან.

მთავრობამ რეალური სექტორის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, ამ სექტორში იაფი ფულის მიდინების უზრუნველყოფის გზით. მრეწველობის პრიორიტეტულ დარგებად ეროვნულ ბუნებრივ, პირველ რიგში, მინერალურ რესურსებზე დაფუძნებული დარგები უნდა ჩაითვალოს. ამ დარგების განვითარებისთვის კი, თავის მხრივ, სამთო სექტორი ნახტომისებურად უნდა აღორძინდეს, რისთვისაც ამ სექტორში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციები უნდა შემოვიდეს. ასეთი ინვესტიციების გრძელვადიანი, მდგრადი ნაკადის წარმოსაქმნელად კი ეროვნული გეოლოგიური სამსახური უნდა აღსდგეს და შეიქმნას პრინციპულად ახლებური სამთო-გეოლოგიური კოდექსი. არაერთხელ საჯაროდ განმიცხადებია, თუნდაც თქვენთან ინტერვიუებში, რომ ასეთი კანონპროექტი მე პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს 2013 წლის 28 თებერვალს გადავეცი. პასუხად სრული სიჩუმე მივიღე. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, თუ რა აზრი მექნება ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

**— სულ ახლახან აქტუალური იყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის 3-წლიანი საქმიანობის შეფასება. შემოდგომაზე ახალი პოლიტიკური სეზონი ქართული პოლიტიკისათვის დამახასიათებელი სიურპრიზების გარეშე რომ არ ჩაივლიდა, ეჭვიც არავის ეპარებოდა, მაგრამ რაც უკვე მოხდა და ახლაც ხდება ჩვენს შიდა პოლიტიკაში, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თქვენ როგორ დაახასიათებდით შიდა პოლიტიკაში უკვე შესამჩნევ დინამიკას, მასზე ხელისუფლებისა და სხვა შიდა აქტორების რეაქციას?**

— ჩემ მოლოდინებს შექმნილმა ვითარებამ სულაც არ გადააჭარბა. შემოდგომიდან დაიწყო ჯერ კიდევ გამოუცხადებელი საარჩევნო პერიოდი. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლება და ოპოზიცია სინერგიულად მოქმედებენ. ნებისმიერი პოლიტიკური აქტიორის ნებისმიერი ქმედება ჩვენ ამ კუთხით უნდა შევაფასოთ. ამ თვალსაზრისით, მოვლენები შედარებით მშვიდად ვითარდება.

**— „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებულმა პროცესებმა გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე შექმნა. თუ ფარულმა ჩანაწერებმა, ვგულისხმობ სააკაშვილსა და გვარამიას და სააკაშვილსა და ბოკერიას შორის საუბარს, ქვეყნის შეჯანჯღარების „ნაციონალურ“ გეგმას, საზოგადოება აშკარად დაზაფრა და დაფრთხო, შემდეგ „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით მოსამართლე ურთმელიძის განჩინებამ უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა გააჩინა როგორც საკონსტიტუციო, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიმართ. უპირველესად ვგულისხმობ მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას და მედიის თავისუფლებისადმი სასამართლოს, ამ შემთხვევაში მოსამართლე ურთმელიძის დამოკიდებულებას. სხვათა შორის, ურთმელიძის განჩინებაზე, ანუ „რუსთავი-2“-ში დროებითი მმართველების დანიშვნაზე სახალხო დამცველის განცხადება საკმაოდ დამაფიქრებელი გახლდათ. თქვენ როგორ შეაფასებდით „რუსთავი-2“-ის საქმეზე გამართულ სასამართლო დავასა და მიღებულ განჩინებას?**

— მე არ ვარ არც პოლიტიკოსი და არც იურისტი, ამიტომ ჩემი აზრი არის უბრალო მოქალაქის აზრი. „რუსთავი-2“-ის პრობლემა გაჩნდა არა მოსამართლე ურთმელიძის (და, მისი ქმედებები სპეციალისტებმა შეაფასონ იურიდიული თვალთახედვით) განჩინების გამოცხადებისას, არამედ ჯერ კიდევ 2004 წელს, როცა მაშინდელ მფლობელებს ტელეარხი იძულებით გააყიდინეს იმისთვის, რომ იგი გამხდარიყო „ნაცმოძრაობის“ რუპორი. ძალიან კარგად მახსოვს ლოზუნგი, რომ „რუსთავი-2“ არის „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“. შემდგომში, განხორციელდა სხვა, ჩემი ღრმა რწმენით, უკანონო ქმედებები, თუნდაც, ბატონ ხალვაშთან მიმართებაში და „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ „დამარცხებული პოლიტიკური პარტიის ტელევიზიად“ გადაიქცა. მოხდა ყველაზე პოპულარული არხის სრული დეგრადაცია და მე არ მჯერა, რომ ამ არხს ბევრი რეალური თაყვანისმცემელი ჰყავდეს.

ჩემი აზრით, თუ თქვენ ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სამართლიანობა უნდა აღსდგეს უძრავი ქონების დაბრუნების გზით, მაშ ეს პრინციპი რატომ არ უნდა მოიცავდეს „რუსთავი-2“-ს? რატომ უნდა ჰქონდეს აშკარად ექსტრემისტულ პოლიტიკურ ძალას ექსკლუზიური ტელეარხი. იმაში ხომ მეთანხმებით, რომ არც ერთ სხვა პოლიტიკურ ძალას, „ქართული ოცნების“ ჩათვლით, თავისი პრესტიჟული ტელეარხი არა აქვს და, საერთოდ, რატომ უნდა იყოს ტელეარხი პოლიტიზებული და არაობიექტური? ასევე მიმაჩნია, რომ დღეს „რუსთავი-2“-ის პრობლემა ვერ მოგვარდება, თუნდაც სააპელაციო სასამართლომ განჩინება უცვლელად დატოვოს.

მე ბევრ სხვა სასამართლო პროცესს მოველი, თუნდაც ბატონ ხალვაშსა და ტელეარხის პირვანდელ მფლობელებს შორის. ვთვლი, აგრეთვე, რომ არც ამერიკის საელჩოს და არც, რასაკვირველია, ოდიოზური „ევროპის სახალხო პარტიის“ განცხადებები სამართლიანი არ არის. მიმდინარეობს არა მედიის თავისუფლების შეზღუდვის, არამედ, პირიქით, ფართო გაგებით, მედიის თავისუფლების საბოლოო უზრუნველყოფის პროცესი.

**— სასამართლოს უკანსკნელი განცხადების კომენტირებისას „რუსთავი -2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ იგი თავისი ნებით კომპანიიდან არ გამოვა, დვალმა და აქიმიძემ განაცხადეს — ძალით „რუსთავი-2“-ში არ შევლენ და არც პოლიციას არ გამოიძახებენ. მეტიც, მათივე მტკიცებით, ტელეკომპანიის ირგვლივ პროცესები მშვიდობიანად უნდა განვითარდეს და ისინი არ დაუშვებენ ამ პროცესში ჟურნალისტების მონაწილეობას. ამის პარალელურად სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ურთმელიძის განჩინების ძალის გამოყენების გარეშე აღსრულება, პრაქტიკულად, არ უწერია. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის ელჩებისა და აშშ-ის ელჩის განცხადებები ამ თემაზე საკმაოდ მკაცრი გახლდათ, აშშ-ის ყოფილმა ელჩმა ნატო-ში კურტ ვოლკერმა კი განაცხადა — „საქართველო საკუთარ თავს ფეხებში ესვრის“, თქვენი დაკვირვებით, სავარაუდოდ, როგორ აისახება ეს პროცესები საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციაზე და სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები საკუთრივ „რუსთავი-2“-ის ირგვლივ?**

— ეს ყველაფერი დროებითია, წარმავალი და ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესზე გავლენას ვერ მოახდენს. ისე, როგორია ბატონი გვარამიას სოციალური აზროვნების ხარისხი, რომ იგი სასამართლო განჩინებას არ დაეთანხმება. ეს ხომ აშკარად ექსტრემისტული, ტოტალიტარისტული და პოსტკომუნისტური აზროვნებაა.

**— თქვენი აზრით, „რუსთავი-2“-ის საქმე რა გავლენას მოახდენს შიდა პოლიტიკაზე? რამდენად დიდია ალბათობა, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება ქვეყნისათვის არასასურველ ფორმაში გადაიზარდოს?**

— პოლიტიკური პროცესები „რუსთავი-2“-ის გარეშეც მწვავეა. აიღეთ, თუნდაც, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების მიერ გამოცხადებული შიმშილობა. მეჩვენება, რომ „რუსთავი-2“-ის ახლანდელმა მფლობელებმა თავისი ადმინისტრაციული რესურსი ბოლომდე ამოწურეს. მაკვირვებს ხელისუფლების აბსოლუტური უმოქმედობა ასეთ ვითარებაში: თუ თვალებს დახუჭავ ან სირაქლემასავით თავს სილაში ჩაყოფ ხიფათის გამოჩენისას, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხიფათი ნეიტრალიზებულია. ხელისუფლება ტრადიციულად პიარს აგებს და ეს მისთვის არჩევნების დროს მძიმე შედეგებით შეიძლება დასრულდეს.

**— სოციოლოგმა იაგო კაჭკაჭიშვილმა სოციალურ ქსელში „რუსთავი-2“-ის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით ადამიანები 3 ჯგუფად დაჰყო. 1. ვინც ემხრობა იმას, რომ „რუსთავი-2“-მა მწვავედ აკრიტიკოს ხელისუფლება ოღონდ სააკაშვილის ერთგულებისა და მისი ძალაუფლებაში დაბრუნების სურვილის ფონზე, 2. ვინც ემხრობა, რომ „რუსთავი-2“-მა მწვავედ აკრიტიკოს ხელისუფლება ოღონდ სააკაშვილის მიმართ ნოსტალგიის გარეშე. 3. ვინც ემხრობა იმას, რომ „რუსთავი-2“-ის მხრიდან არსებული ხელისუფლების მიმართ მხოლოდ დაბალანსებული, ან „ზემოდან“ დაშვებული კრიტიკა ისმოდეს“. ფაქტია, რომ ყველაზე ოპტიმალური და მისაღები 2 ვარიანტია, მაგრამ ეს „რუსთავი-2“-ის არც ახლანდელი და არც სავარაუდოდ ახალი მენეჯმენტის შემთხვევაში არარეალურია. თქვენი აზრით, „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული ისტორია როგორ აისახება ქართულ მედიაზე, უპირველესად კი, ქართულ ტელესივრცეზე?**

— ჩემი აზრით, საერთოდ მედია უნდა იყოს პროფესიული, ობიექტური, მიუკერძოებული, სამართლიანი და კრიტიკული პრიორიტეტების ზუსტად ამ თანმიმდევრობით დალაგებით.

ხელისუფლების კრიტიკა „რუსთავი-2“-ის იმპერატიული მონოპოლია არ უნდა იყოს. ხელისუფლებას საერთოდ ყველა მედია საშუალება სამართლიანად უნდა აკრიტიკებდეს. წარსულის ნოსტალგია კი დამარცხებული ხალხის ფსიქოლოგიაა და მზარდ ერს იგი არ წაადგება. „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება ისეთივე ნონსენსი იქნება, როგორც, მაგალითად, გერმანიაში ფაშიზმის აღორძინება. მე მჯერა, რომ ქართველი ხალხი ბრძენია და ამას არ დაუშვებს, მაგრამ თუ ასე მოხდა, საქართველო სტრატეგიული მომავლის ყველა შანსს დაკარგავს.

**კობა ბენდელიანი**

---

**ალიან-ჩალიანი**

## ბეჟუაშვილს „ავტოგაზის“ ბიზნესიც მიუთვისებია

**სააქციო საზოგადოება „ავტოგაზის“ ყოფილი მფლობელები გიორგი გერსამია და თენგიზ მაჭავარიანი დავით ბეჟუაშვილს და მასთან დაახლოებულ სახელმწიფო მოხელეებს ბიზნესის წართმევაში ადანაშაულებენ. გერსამიამ და მაჭავარიანმა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მიზნით „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრს“ მიმართეს. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

**„2015 წლის 10 სექტემბერს „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრს“ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მიზნით მოგვმართა სააქციო საზოგადოება „ავტოგაზის“ ყოფილმა მფლობელებმა ბ-ნმა გიორგი გერსამიამ და ბ-ნმა თენგიზ მაჭავარიანმა. მათი განცხადებით, 2007 წელს იმჟამინდელი პარლამენტის წევრის დავით ბეჟუაშვილის, მასთან დაახლოებული პირებისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ იძულებით განხორციელდა „ავტოგაზის“ მფლობელების მიერ დავით ბეჟუაშვილისთვის სს „ავტოგაზის“ რეალურ ღირებულებაზე 15-20-ჯერ ნაკლებ ფასად მიყიდვა, რისთვისაც სავარაუდოდ დანაშაულის ჩამდენი პირების მიერ გამოყენებული იქნა იძულების, მუქარის, დაშინების ღონისძიებები.**

**ინტერპრესი**

# რუსეთის დაუკითხავად აფხაზეთში

## ის, ვინც აფხაზეთის დაბრუნებას უახლოეს მომავალში გვპირდება, ან ბრიყვია, ან მატყუარა!

**იქნებ ბევრს ერთობ მკვახედაც მოეჩვენოს ამ წერილის სათაური, მაგრამ... ალბათ, გახსოვთ გალაკტიონის ლექსზე შექმნილი მუსიკალური კლიპი, რომლის ავტორი ე.წ. ზუმბაცა და მომღერალ-შემსრულებლებიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა (უწინარესად, ალბათ, ოთარ რამიშვილი და ნანი ბრეგვაძე), სააკაშვილის ფავორიტი არტისტები იყვნენ, რომლებიც ამ კლიპამდეც და შემდეგაც, როგორც ღვთაებას, ოსანას უგალობდნენ იმბეცილ პრეზიდენტს და 9 წლის მანძილზე ხოტბას ასხამდნენ სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს!**

**თუმცა, ვაღიარებ, რომ თავად სიმღერა, „საამო იყო სასმენად“, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ დაწყებული შევარდნაძიდან, ვიდრე ქართული ოცნების ხელისუფლებაში ყოფნის 3 წლის, ანუ, ჯამში 20 წლის მანძილზე, მხოლოდ ეს კლიპია ერთადერთი „წინ გადადგმული ნაბიჯი“ აფხაზეთის დაბრუნების თუ აფხაზეთში დაბრუნების ეკლიან გზაზე...**

ამ მიმართებით საგულისხმოა ერთი ამონარიდი ცნობილი პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუდან:

**„— როდესაც ისინი („ქართული ოცნება“ — დ.მ.) ხელისუფლებაში მოვიდნენ, დაგვპირდნენ, რომ 2 წელიწადში მიაღწევდნენ მნიშვნელოვან პროგრესს. ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი? ალბათ, ეს 2 წელი საკრალური ვადაა, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის, ასევე ამჟამინდელი მთავრობისთვისაც. ყველანი გვპირდებოდნენ და გვპირდებიან აფხაზეთის საკითხის 2 წელიწადში გადაწყვეტას. როგორც ჩანს, ამერიკულ პიარინსტრუქციაში უწერიათ: „დავპირდეთ, რომ 2 წელიწადში აფხაზეთს დავიბრუნებთ“. ინსტრუქცია შესაცვლელია. არ შეიძლება, 20 წლის განმავლობაში ერთი და იგივე იძახო“.**

მართლაც, აფხაზეთი მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ ხელისუფალთ, რომლებიც, თითქოს მოილაპარაკესო, 2 წელიწადში გვპირდებოდნენ ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრას.

თუმცა, რა მოლაპარაკება უნდათ, როდესაც ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის დამხობის შემდეგ, ყველა სხვა ხელისუფლება საქართველოში არა ქართველი ხალხის არჩეული, არამედ აშშ-ის მიერ შერჩეულ-დანიშნულია და ისინიც ცხვრებივით ერთხმად — ბეეე, იმეორებდნენ და იმეორებენ ოკეანეს გაღმიდან მიღებულ ინსტრუქციას!

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის 2 კი არა, მეოთხე წელი დაიწყო, მაგრამ აფხაზეთის მიმართულებით შეპირებული პროგრესი არა თუ არსად ჩანს, არამედ სოხუმმა თბილისისგან დისტანცია კიდევ უფრო გაზარდა!!!

რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთთან, აგრეთვე, ცხინვალის რეგიონთან გააფორმა ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც, „თანამშრომლობის, ინტეგრაციისა და პარტნიორობის“ ძირითადი მიმართულებებია:

**ურთიერთშეთანხმებული საგარეო პოლიტიკის განხორციელება; „საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების სივრცისა“ და „საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის“ შექმნა“.**

ამ აშკარა საფრთხეზე ოფიციალური თბილისის პასუხები კი ნაცნობი კლიშეებია:

ე.წ. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება; ამ ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არა აქვს; მას არ სცნობს ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე დასავლეთი (წაიკითხე აშშ) ისევე, როგორც დღემდე აგრძელებს ე.წ. არაღიარების პოლიტიკას და აფხაზეთის დამოუკიდებლობა რუსეთის გარდა, მხოლოდ ნაურუ-ნიკარაგუა-ვენესუელამ სცნო და ა.შ. მსგავსი საკუთარი თავის დამამშვიდებელი დემაგოგიური „ვიკრუტასები“...

შე კაი კაცო! ამ სისულელეებს რომ ჩმახავ, რუკას მაინც დახედე — თუნდაც მთელმა მსოფლიომ არ ცნოს სოხუმი, მხოლოდ რუსეთის ცნობა არ ეყოფათ აფხაზებს პურადაც და ყველადაც — რუსეთის იმპერიის, რომელიც პლანეტის 1/6-ზეა გადაჭიმული?

მთავარი დე ფაქტოა, თორემ გაეროს, ევროკავშირისა თუ ამერიკის სახდეპის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ დე იურე რეზოლუციებსა თუ განცხადებებს ტუალეტის ქაღალდის ფასი აქვს...

ანდა გონების თვალით მიიხედ-მოიხედე რა ხდება მსოფლიოში — ის ჩვენი სტრატეგიული „მოკავშირე და მეგობარი“ აშშ თავის ევროკავშირიანად, რუსეთმა ჯერ უკრაინისთვის ყირიმის „ახევით“ გააფარჩაკა და შემდეგ სირიაში ყველანი ერთად არ „დაიკიდა“?

ვერ ხედავთ, რომ ერთპოლუსიან მსოფლიოში ამერიკელთა დაუსჯელი პარპაშის დასასრული რუსეთმა კასპიის ზღვიდან გაშვებული რაკეტებით ამცნო მსოფლიოს?

ვერც იმას ხედავთ, რომ გასული საუკუნის 90-ან წლებში აშშ-ის მიერ შეურაცხყოფილი, დამცირებული, გაძარცული და ლამის დაჩოქებული რუსეთი დღეს უკვე სულ სხვაა?

ეტყობა, ამ ყველაფერს ვერ ხედავენ, ან არ უნდათ დაინახონ. ყოველ შემთხვევაში პრეზიდენტ მარგველაშვილისა და შერიგების მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებებიდან ასე ჩანს:



**„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ რუსეთთან ეკონომიკური და სავაჭრო, კულტურული ურთიერთობების აღდგენისა და ნდობის ატმოსფეროს ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ, ამავე დროს, პრინციპულები ვართ — ამ გზაზე არ იქნება არავითარი დათმობა, რომელიც ჩრდილს მიაყენებს ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ჩვენს ღირსებას“...**

რა უნდა ითქვას პრეზიდენტ მარგველაშვილის ამ „ვაჟკაცურ“ განცხადებაზე?

ჯერ ერთი ის, რომ არდათმობით ხომ კაი ჩიტი დაგვაჭერინეს და ახლა კაი ტურასაც დაგვაჭერინებენ!

ახლა კი ჩემს მიერ დასმულ კითხვას ისევ ახალი კითხვებით ვუპასუხებ, ოღონდ არა „ქსლისა მბეჭველი“ მარგველას (რომელსაც თავი მართლა ქართველი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ჰგონია), არამედ მკითხველის საყურადღებოდ:

დღეს საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანაა თუ ამერიკის ვასალი (უფრო სწორედ მონა), რომელიც თეთრი სახლის „ნამესტნიკი“ აშშ-ს ელჩისგან იმართება?

ან სად არის ჩვენი ღირსება და თავმოყვარეობა? თუნდაც „რუსთავი-2“-ის მოვლენებიდან გამომდინარე, რომელ ღირსებაზეა ლაპარაკი, როცა ერთმანეთს ასწრებენ ევროკავშირი თუ აშშ, რომელი უფრო შეურაცხმყოფელ განცხადებას გამოაცხობს ნეოლიბერალური დემოკრატიის ქურაში?

ერთი სიტყვით, გიორგი ლეონიძის ციცკორესი არ იყოს, ამერიკის დაუკითხავად სიზმარი ვერ უნახავთ ჩვენს ხელისუფალთ და რომელ ღირსება-თავმოყვარეობაზე ბაასობს ჩვენი მართლაც ულირსი პრეზიდენტი?

ახლა ვნახოთ თუ რას აცხადებს ჩვენი შერიგების მინისტრი, რომელსაც ეტყობა უგრძნია, რომ ის „საკრალური“ 2 წელიწადი გასულა:

**„საქართველო მზადაა, ფედერაციული მოწყობის საკითხი განიხილოს, სადაც აფხაზეთს განსაკუთრებული სტატუსი ექნება“,** — ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის პირველი შეხვედრის მეორე სესიაზე გამოსვლისას განაცხადა.

აუ, შიშით გული გაუსკდა რუსეთს —

---

⊙ პოზიცია

(მეოთხე გვერდიდან)

# ისტორიის უსწავლელი გაკვეთილები— როცა საქმეში „რ-2“-ა

როცა არსებობს წესი, რომ დროებით მმართველად აუცილებლად უნდა დაინიშნოს დაუინტერესებელი პირი, მოსამართლის გადაწყვეტილებით რატომ აღმოჩნდნენ ამ თანამდებობაზე ის ადამიანები, რომლებზეც აპრიორი ცნობილი იყო, რომ ისინი დაუინტერესებლობის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდნენ? მით უმეტეს, როცა ერთი მათგანი ამ ტელევიზიის ყოფილი მეპატრონე, ხოლო მეორე კი კონკურენტი ტელევიზიის, „იმედის“ ყოფილი დირექტორი და ამავე ტელევიზიის მოქმედი მაღალი თანამდებობის პირია. მოსამართლემ თავისი ასეთი ქმედებით ხომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისობა სამართლებრივ სტანდარტებთან?

რატომ ვერავინ გათვალა, თუ რა შედეგებს მოიტანდა ასეთი ნაბიჯები და ვის წისქვილზე მიუშვებდა წყალს?

ან საერთოდ რომელმა გადაუდებელმა აუცილებლობამ მიაღებინა მოსამართლეს ქონებადაყადაღებულ ტელევიზიაში დროებითი მმართველების დანიშვნის გადაწყვეტილება? თავისი ამ ნაბიჯით რა საფრთხე, რა პოტენციური ზიანი ააცილა მან მოდავე მხარეს?

ამ კითხვებზე, სამწუხაროდ, პასუხს ვერავინ იძლევა. თუ ვინმე ისეთი მიამიტი იყო და სჯეროდა, რომ სააკაშვილი უფლებას მისცემდა ყარამანიშვილებს, დათანხმდებოდნენ დროებითი მმართველების შეთავაზებას ტელევიზიის მუშაობის შეუფერხებლად გაგრძელების მიზნით დროებითი გენდირექტორის კანდიდატურის წარდგენის შესახებ, მაშინ საერთოდ არ სცოდნიათ, ვისთან აქვთ საქმე. დღეს ფაქტია, რომ სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მშვიდობიანი აღსრულების უფლებას არც ყარამანიშვილებს და არც გვარამიას არავინ მისცემს და დროებითი მმართველები „რუსთავი-2“-ში ვერ შედიან. ვინაიდან ტელევიზია არ კონტაქტობს დროებით მმართველებთან, სხვას კი არავის აქვს უფლება, რაიმე ფინანსური ოპერაცია აწარმოოს „რუსთავი-2“-ის ფუნქციონირებისათვის, ალბათობა იმისა, რომ ფინანსური პრობლემების გამო ტელევიზიამ მაუწყებლობა შეწყვიტოს, საკმაოდ დიდია. ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი იქნება სააკაშვილისა და მისი მომხრეებისთვის, „თავისუფალი სიტყვის ჩახშობაზე“ პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დააკისროს. ვის ინტერესშია მთავრობა ამ არჩევნის წინაშე დადგეს — ან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად ძალისმიერი მეთოდის გამოყენებით შეიყვანოს დროებითი მმართველები დამოუკიდებელ ტელევიზიაში (რასაც დიდი ალბათობით ფიზიკური დაპირისპირება და გარკვეული ფორმით „იმედში“ შეჭრის სცენარის გამეორება მოყვება) ან იმით აჩვენოს თავისი უსუსურება, რომ ვერ ახერხებს „ურჩი“ გვარამიას პრობლემის გადაჭრასა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას? ასეთი სცენარები შეიძლება სააკაშვილის სურვილები იყოს, მაგრამ რატომ ხდება ამ სცენარების განხორციელებისთვის ხელშეწყობა? ესაა გასაკვირი.

რატომ მოხდა გადაწყვეტილების მიღება ასეთი ფორმით?

„რუსთავი-2“-ის გარშემო მიმდინარე პროცესი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ჯერ კიდევ არ გვსურს ვისწავლოთ წარსულის შეცდომებზე, რომ ასეთი სენსიტიური საკითხების განხილვის დროს მნიშვნელობა აქვს არამარტო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სრულ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან, არამედ თავად მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმას. წლების განმავლობაში საზოგადოების დიდი ნაწილი ვაკრიტიკებდით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე სასამართლოს მიერ არამარტო მოსახლეობის, არამედ თავად მოდავე მხარის ინფორმირების გარეშე, მალულად მიღებულ გადაწყვეტილებებს. მოსამართლეს „რუსთავი 2“-ის საქმეზე ჰქონდა ამ ფორმით გადაწყვეტილების მიღების კანონიერი უფლება, მაგრამ მისი მხრიდან ეს იყო დიდი პოლიტიკური შეცდომა. ნუთუ ძნელია, გადაწყვეტილების მიმღებები მიხვდნენ, რომ ძალიან ცუდია, როცა ტელევიზიის ხელმძღვანელობა ინფორმაციას მათი მმართველობიდან ჩამოშორების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საჯარო რეესტრის ვებგვერდიდან იგებს. ცუდია კონკრეტული სასამართლო პროცესისთვის, ცუდია თავად ამ მოსამართლისა და მთლიანად სასამართლო სისტემის ავტორიტეტისთვის, ცუდია ხელისუფლებისთვის, ცუდია ქვეყნის იმიჯისთვის! საქმისადმი არსებული მაღალი პოლიტიკური ინტერესიდან გამომდინარე, მოსამართლე ვალდებული იყო ამ საკითხის განხილვისას მაქსიმალურად მაღალი სტანდარტით დაეცვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი. ამით მოსამართლე თავიდან აიცილებდა ბრალდებას, რომ დროებითი მმართველების დანიშვნა მოხდა „რუსთავი 2“-ის მონაწილეობის გარეშე, მათ ზურგს უკან, მოსამართლესა და მომჩივანი მხარის ფარული გარიგების საფუძველზე. ვფიქრობ, ასე მოქცევა, პირველ რიგში, თავად მოსამართლის ინტერესში უნდა ყოფილიყო. ახლა კი მივიღეთ ვითარება, როცა ქართული და საერთაშორისო საზოგადოების თვალში დიდი რეპუტაციული დარტყმა მიადგა როგორც ამ კონკრეტული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობას, ისე სასამართლო სისტემას, მთლიანად ხელისუფლებას და ქვეყნის იმიჯს, რაც აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა, პირველ რიგში, თავად მოსამართლე ურთმელიძეს და ყველა დაინტერესებულ მხარეს.

**ირაკლი მელაშვილი**

# ბუზიც ვერ შეფრინდება!



ამაზეა ნათქვამი: შეაყარე კედელს ცერცვიო...

მსგავს წინადადებას, თუ არ ვცდები, თავის დროზე თავად რუსეთი სთავაზობდა საქართველოს, მაგრამ სიტყვა ფედერაციის გაგონებაზე ჩვენმა მაშინდელმა პოპულისტმა და ურაპატრიოტმა სააკაშვილის ხელისუფლებამ, ზაალი ბარათაშვილისა არ იყოს, „ქოში უკულმა ჰყარა“ და ახლა საინტერესოა, ისეთს რა განსაკუთრებულ სტატუსს სთავაზობს აფხაზებს ამხანაგი შერიგების მინისტრი, რომ სოხუმმა, თუნდაც მხოლოდ რუსეთის მიერ აღიარებული „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ სტატუსი თბილისის შეთავაზებაში გაცვალოს?

და ყველაზე მთავარი — სად აკეთებს ამ უაზრო განცხადებას „ზაქარაანთ პაატა“? „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის პირველი შეხვედრის მეორე სესიაზე“.

თავად ჩვენი ხელისუფლება არ უწოდებს აფხაზეთის მთავრობას „ეგრეთ წოდებულს“ იმის ხაზგასასმელად, რომ აფხაზებს რუსები არაფერს ეკითხებიან და, ზემოთ ხსენებული რუსეთის გეოპოლიტიკური ტრიუმფიდან გამომდინარე, ევროკავშირს ვინ ეკითხება, აფხაზეთში ბალი ათი შაურია თუ უფრო მეტი?

ერთი სიტყვით, „ზაქროს“ აბსურდულ განცხადებას რომც თავი დავანებოთ, სულ მცირე შერიგების მინისტრს მისამართი შეეშალა — **რუსეთის დაუკითხავად აფხაზეთში ბუზიც ვერ შეფრინდება!**

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ:

ვერც „საკრალურ“ ორ წელიწადში, ვერც გნებავთ ოთხში, ანუ უახლოვეს მომავალში აფხაზეთს ვერავინ დააბრუნებს საქართველოს იურისდიქციაში და ის პოლიტიკოსი, ვინც საპირისპიროს ამტკიცებს, ან ბრიყვია და ან უბრალოდ მატყუარა!

ამას მყისიერად ვერც პუტინი შეძლებს, როგორც ბევრს ჰგონია, რომ მხოლოდ პუტინის (რუსეთის) კეთილ ნებაზეა დამოკიდებული ყველაფერი.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველაფერს აკონტროლებენ რუსები აფხაზეთში, მათ ურთიერთობებშიც არსებობენ წითელი ხაზები, რომელსაც ვერც პუტინი გადავა და რომც გადაიდეს და უბრძანოს აფხაზეთს საქართველოში დაბრუნება, ამ ბრძანებას აფხაზები არ შეასრულებენ და მუხლიჩოქვით არ დაიწყებენ ქართული ჯარის ამერიკული „ბატინკების“ ლოკვას!

მაშ სად არის გამოსავალი?

სად და ზეცაში, ანუ ღვთის განგებაში, რის დასტურადაც ბერძენი წმინდანების წინასწარმეტყველებებს გაგაცნობთ, რომელთაგან ბევრი რამ უკვე ახდა. წმინდა მამებისა, რომელთაც პრორუსულობას ვერ დავწამებთ...

აი, რას ამბობს XVIII საუკუნეში მოღვაწე **წმინდა კოზმა ეთოლელი, რომლის ბევრი წინასწარმეტყველება აცხადდა, ბევრიც თავის დროს ელოდება.**

**წმინდა კოზმა კონსტანტინოპოლის დაბრუნებაზე ლაპარაკობს:**

**1. წითელი ჟილეტები განდევნიან თურქებს (განმათავისუფლებელი ჯარისკაცები, ალბათ, წითელსამოსიანნი იქნებიან); 2. ქალაქში იმდენი სისხლი დაიღვრება, რომ მასში სამი წლის ხარი თავისუფლად იბანავებს.**

**ამ წინასწარმეტყველებას უკვე XX საუკუნეში მოღვაწე წმინდა მამა პაისი ასე განმარტავს: „კონსტანტინოპოლში რუსებსა და ევროპელებს შორის საშინელი ბრძოლა გაჩაღდება“...**

**ისევ წმინდა კოზმა:**

**იქნება კიდევ უცხოტომელთა ერთი არმია, მათ არ ეცოდინებათ ბერძნული, მაგრამ ქრისტეს აღიარებენ. იკითხავენ, სად არის ქალაქიო?**

ბევრი ბერძენი მკვლევარი დარწმუნებულია (მათ შორის მამა პაისიც), რომ ბერძნულის არმცოდნე ქრისტიანთა არმიაში რუსეთის არმია იგულისხმება და კონსტანტინოპოლის საკითხის გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას სწორედ ერთმორწმუნე რუსები მიიღებენ.

ბერი პაისი ათონელი, როგორც ჩანს, ამ წინასწარმეტყველებებზე დაყრდნობით, ასკვნის: **„რუსები დაეუფლებიან თურქეთს. თურქეთი საერთოდ გაქრება რუკიდან, იმიტომ რომ, როგორც წმინდა კოზმა ამბობს — მესამედი თურქებისა გაქრისტიანდება, მესამედი დაიღუპება და მესამედი მესოპოტამიისკენ გაეშურება“...**

ბერი პაისი კი განაგრძობს:

**„კონსტანტინოპოლში დიდი ომი იქნება რუსებსა და ევროპელებს შორის და ბევრი სისხლი დაიღვრება. საბერძნეთს ამ ომში არ ექნება წამყვანი როლი, მაგრამ მას გადასცემენ კონსტანტინოპოლს არა იმიტომ, რომ რუსები კეთილგანწყობილნი იქნებიან ბერძნებისადმი, არამედ იმიტომ, რომ არ დარჩებათ სხვა გამოსავალი“.**

და ისევ კოზმა: **ეს მოვა მაშინ, როცა ორი ზაფხული და ორი პასქალია ერთად იქნება.**

ვნახოთ, ზოგიერთი ნიშანდობლივი ამონარიდები იქიდან თუ რას ამბობს წმინდა კოზმა ჩვენი დროის ადამიანებზე, საიდანაც დაინახავთ, რომ ბევრი რამ უკვე ამხდარია და ბევრიც ახდომის პირასაა, რაც იმაში მარწმუნებს, რომ რუსთა განმათავისუფლებელი მისიაც ოდესმე ახდება...

**„უბედურება განათლებულ კაცთაგან დაგატყდებათ თავს“;**

**ნეოლიბერალები უწიგნურები არ არიან...**

**„სკოლებში ისეთი ამბები მოხდება, თქვენი გონება ვერ დაიტევს“;**

**დასავლეთის სკოლებში ბავშვების გარყვნა უკვე ნორმაა და იმავეს დამკვიდრებას ჩვენთანაც ცდილობენ!**

**„დავინახავთ, როგორ გადაიქცევა ჩვენი ქვეყანა სოდომად და გომორად“. ლგბტ, ერთსქესიანი ქორწინებები სხვა რა არის?**

**„ნუ ააშენებთ დიდ სახლებს, სხვები რომ არ ჩაგისახლონ“;**

**ევროპას მიმწყდარი მილიონობით ლტოლვილები...**

**„მძიმე გადასახადს დაგაკისრებენ, მაგრამ თავისას ვერ მიაღწევენ“; გვახრჩობენ კომუნალური გადასახადებით...**

**„თავის გადასარჩენად საცხოვრებლად სხვაგან წახვალთ, თქვენს მიწას კი სხვები დაიკავებენ“; ათასობით გახიზნული ქართველები და აქ მომრავლებული უცხოტომელები...**

**„მოვა დრო, როცა ეშმაკი ყუთში შევა და იქიდან ყვირილს დაიწყებს, ყუთიდან კი მისი რქები იქნება ამოშვერილ“.**

აშკარაა, აქ ტელევიზორზე საუბრობს. წმინდა კოზმამ ამით წინასწარ გვაუწყა ტელევიზორის მაზომბირებელი და გამხრწნელი გავლენა...

კიდევ ბევრი ახდენილი წინასწარმეტყველების მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია და ახლა ზეციდან ისევ მიწაზე დავეშვათ...

**არ ვიცი, ორი ზაფხული და ორი პასქალია როდის იქნება ერთად — ალბათ, არც ისე შორს, როგორც გვგონია და არც ისე ახლოს, როგორც გვინდა, მაგრამ იმ დროისთვის, რომ რუსეთთან ერთად ყოფნა ჯობია და ბერძენთაგან განსხვავებით იმ ომში ერთმორწმუნე რუსებთან ერთად ბრძოლა, ეს კი ვიცი და თუ ბერძნებს კონსტანტინოპოლს დაუბრუნებენ, არც ჩვენ დაგვამადლიან რუსები თურქთაგან მიტაცებული ტაოკლარჯეთის დაბრუნებას!**

**მანამდე კი, იმაზედაც ყაბულსა ვარ, იმ დღეს მომასწროს ღმერთმა, რომ აფხაზეთში, ამ მიწიერ სამოთხეში, ძველებურად, წელიწადში ერთხელ მაინც დასასვენებლად ჩავდიოდე და რაჭაში „ჩერეზ“ ცხინვალი მივდიოდე, როგორც ადრე, ჩემი ჯეელობის ჟამს!**

**ამისთვის კი საჭიროა, რომ მოვეშვათ სოხუმ-ცხინვალის „ე.წ“ და „დე ფაქტო“ ეპითეტებით მოხსენიებას,ანუ ახალ რეალიებს თვალი გავუსწოროთ და სოხუმ-ცხინვალში დაბრუნებაზე კი არა, აფხაზებ-ოსების გულებში ქართველთა დაბრუნებაზე და პირიქითაც ვიფიქროთ და ვილვაწოთ!**

**ეს „მცირედიც“ კი, რუსებთან ძველი, მეგობრული ურთიერთობების აღდგენის გარეშე სრული უტოპიაა და ამაზედაც ვიფიქროთ ქართველებო...**

**დავით მხეიძე.**

**P. S. ვისაც მეტის შეტყობა გსურთ ბერი პაისისა და წმინდა კოზმას შესახებ, დაგუგლეთ ქართულად „წმინდა კოზმა ეთოლელი“ და თმები ყალყზე დაგიდგებათ...**

---

ალიან-ჩალიანი

## ეროვნული არქივი საეკლესიო საგანძურის აღრიცხვას აწარმოებს

**ეროვნული** არქივი საცავებში არსებული დოკუმენტების საფუძველზე, დაცული თუ განადგურებული საეკლესიო საგანძურის აღრიცხვას აწარმოებს.

ეროვნული არქივის ხელმძღვანელობამ გუშინ საპატრიარქოში პროექტის „საგანძური ეროვნული არქივის ფონდებში“ პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, მღვდელმთავრები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტი ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელმა ქეთევან ასათიანმა წარადგინა. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ძირითადად უკვე განადგურებული საეკლესიო საგანძურის შესახებ ფოტომასალა. საგანძურის ამსახველი ფოტოები ალექსანდრე როინაშვილის, დიმიტრი ერმაკოვის, თეოდორე კიუნეს



კოლექციებიდანაა. XIX-XX საუკუნეების ფოტოებსა და წერილობით დოკუმენტაციებში დაცულია ინფორმაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა ექსპედიციების დროს აღრიცხული საგანძურის შესახებ.

ასათიანის თქმით, პროექტი გასულ წელს დაიწყო და უკვე ათასამდე სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია შეისწავლეს. მისივე თქმით, ზოგიერთი ძვირფასი ნივთის შესახებ ინფორმაციული მასალა უკვე არქივშია დაცული, თავად ფოტოზე თუ წერილობით გადმოცემული ნაკეთობის ან ნივთების უმეტესობა განადგურებულია.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია ჭედურობის, ხელნაწერების, ფერწერული ნიმუშების, ნაქარგობების, საეპისკოპოსო შესამოსების შესახებ. დოკუმენტაციების კვლევის დროს პირველად გამოვლინდა სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულად ქართული ახტალის ტაძრის წარმოშობის შესახებ მასალა, ასევე კაცხის ვერცხლის ლუსკუმა სახარების ჩასაბრძანებლად. ქეთევან ასათიანის განცხადებით, მხოლოდ ფოტოზეა დაცული მღვიმევის სახარების მინიატიურები, ასევე შემოქმედის მონასტრის 1800 წლით დათარიღებული ჭედური ხატები და სხვა.

ეროვნული არქივის მიერ დაწყებული პროექტის მიზანია ერის საგანძურის შესახებ სხვადასხვა ტიპის მასალის მოძიება, სისტემატიზაცია, შესწავლა და განახლებული აღწერების შექმნა, რათა მათ ჰქონდეთ ინფორმაცია არსებული საგანძურიდან რომელია დაცული მუზეუმებში და რომელი განადგურდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებით, ჩვენ გვჭირდება კარგი საცავი და კარგი მუზეუმი.

„მე ვფიქრობ, რომ კიდევ აღმოვაჩენთ ასეთ საეკლესიო ნივთებს, ხატებს. ისინი უცხოეთის მუზეუმებში, კერძო კოლექციებშია შენახული. მე მინახავს რამდენიმე ძალიან ძვირფასი ხატი სვანეთში. ასე რომ, ჩვენ გვჭირდება კარგი საცავი და კარგი მუზეუმი“, — განაცხადა საქართველოს პატრიარქმა შეხვედრის დასასრულს.

## საუკეთესო ესე საქართველოს შესახებ

**ინდონეზიაში** საქართველოს საელჩოში საგანმანათლებლო პროექტის „კონკურსი — საუკეთესო ესე საქართველოს შესახებ“ გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

პროექტი განხორციელდა ჯაკარტაში ენის სასწავლო ცენტრის LEAICO, ბაკრის უნივერსიტეტისა და საქართველოს საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ინდონეზიის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და უმაღლესის სასწავლებლის სტუდენტებმა. 200-მდე კონსულტანტის ნაშრომები სამი თემატიკას მოიცავდა — საქართველოს ისტორია, ენა და კულტურა; ინდონეზია-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები და საქართველოს როლი ევრაზიის კონტინენტზე.

საქართველოს ელჩმა ზურაბ ალექსიძემ კონკურსის 10 გამარჯვებულს მადლობის სიგელები, ქართული ტრადიციული სუვენირები გადასცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა. ელჩმა თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა პროექტის მხარდამჭერ ორგანიზაციებს, კერძოდ, ინდონეზიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ბაკრის უნივერსიტეტს, აგრეთვე ენების სასწავლო ცენტრს LEAICO და ხაზი გაუსვა პროექტის მნიშვნელობას, რაც ხელს შეუწყობს ინდონეზიაში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლებას და ხალხთაშორისი კონტაქტების გაღრმავებას. საღამოზე საგანგებოდ მოწვეულმა ინდონეზიურმა გუნდმა შეასრულა საქართველოს ეროვნული ჰიმნი და ქართული ხალხური სიმღერა.

საქართველოს საელჩო სტუმრებს გაუმასპინძლდა ქართული ღვინით და კერძებით. ღონისძიება ფართოდ გაშუქდა ინდონეზიური საინფორმაციო საშუალებების მიერ.

ინტერპრესი

## კალათბურთი



# ფაჩულიას 12 ქულა და მარცხი „ნიუ ორლეანთან“

**ზაზა ფაჩულიას „დალას მავერიქსი“ გუშინ გასვლით მატჩში „ნიუ ორლეანთან“ 105:120 დამარცხდა. ზაზა სასტარტო 5-ეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 20 წუთი და 40 წამი დაჰყო.**

ფაჩულიამ გუნდს 12 ქულა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი შესძინა. ქართველმა ცენტრმა 6-დან 3 ორქულიანი და 6-დან 6 საჯარიმო სროლა ჩააგდო. საქართველოს ნაკრების კაპიტანი განაგრძობს აკურატულ თამაშს — მხოლოდ ერთი პერსონალური ჯარიმა მიიღო და ბურთი არც ერთხელ არ დაუკარგავს.

ტეხასელთა რიგებში 18 ქულით დირკ ნოვიცკი გამოირჩა, ხოლო „ნიუ ორლეანში“ — ანდერსონი — 25 ქულით და 11 მოხსნით.

„დალასი“ 3 მოგებით და 4 წაგებით ნბა-ს დასავლეთ კონფერენციაში მეათე ადგილზეა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## სუმო

# გაგამარუმ ზედიზედ მე-3 გამარჯვება იზეიმა

**ქართველმა სუმოისტმა თეიმურაზ ჯუღელმა, იგივე გაგამარუმ ფუკუოკას ბაშოს სტარტზე განცდილი მარცხის კვალად ზედიზედ მე-3 გამარჯვება იზეიმა.**

აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირას წოდების მქონე ქართველმა გოლიათმა აღმოსავლეთის მე-12 მაეგაშირა ტაკეკაძესთან ოშიდაშით იმარჯვა, შემდეგი ორთაბრძოლა კი აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირა ტამავაშისთან ელის.

ოძეკი კისენოსატოს დიდი ბრძოლა გაუმართა აღმოსავლეთის კომუსუბის წოდებით მოასპარეზე ტოჩინოშინმა, თუმცა, წარმატებას მაინც ვერ მიაღწია.

ლევან გორგაძე ფავორიტად მიჩნეულ მეტოქესთან იორიკირით დამარცხდა და 4 ტურის თავზე ერთადერთი გამარჯვება დარჩა.

ქართველი სუმოისტი კიუსიუ ბაშოზე მორიგ



შერკინებას ასევე ოძეკი ტერუნოფუჯის წინააღმდეგ ჩაატარებს, რომელთანაც გასული 4-ვე ბრძოლა წაგებული აქვს.

ნოემბრის სუპერტურნირს 4 დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს. ესენი იოკოძუნა ჰაკუჰო, ოძეკი კოტოშოგიკუ და რიგითი მაეგაშირები იკიოი და ჩიიოოტორი არიან.

**მანუჩარ გიორგაძე**

## რაგბი

# მამუკაშვილი „გლაზგო უორიორზის“ მოთამაშეა!



**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების კვაჭი შალვა მამუკაშვილი „კელტების ლიგის“, იგივე პრო 12-ის შოტლანდიური კლუბის „გლაზგო უორიორზის“ მოთამაშე გახდა.**

25 წლის მორაგბეს გასული სეზონი ბოლნისის „ყოჩებში“ უნდა დაეწყო, მაგრამ მოულოდნელად ინგლისის პრემიერშიპის „სეილ შარქზში“ ამოყო თავი. უმაღლეს დონეზე ჩატარებულმა სეზონმა მისი შესაძლებლობები ერთი-ორად აამაღლა და ცხადი იყო, რომ მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ კარიერას რომელიმე ძლიერ ევროპულ კლუბში გააგრძელებდა.

რაგბის უმთავრეს ფორუმზე იგი ოთხივე შეხვედრაში მონაწილეობდა და ახალ ზელანდიასთან ჯახში საუკეთესო მოთამაშის წოდებისთვის სამ პრეტენდენტთა შორისაც მოხვდა.

გასულ კვირაში მამუკაშვილი გლაზგოში ჩავიდა, მაგრამ სამუშაო ვიზამ ვერ ჩაუსწრო და კონტრაქტის ხელმოწერაც ამის გამო დაგვიანდა. შედეგად, ახალ გუნდში მისი დებიუტი გადაიდო („უორიორზმა“ კარდიფში „ბლუზი“ 35:30 დაამარცხა), გუშინ კი შალვამ გლაზგოელებთან სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი და 14 ნოემბერს ჩემპიონთა თასის პირველ ტურში პარიზში დავით ხინჩაგიშვილის „რასინგთან“ „უორიორზში“ მისი დებიუტი შედგება.

მამუკაშვილს „ბორჯღალოსანთა“ მაისურით 2011 წლიდან დღემდე 35 თამაში აქვს ჩატარებული და 3 ლელო გაიტანა. მსოფლიო თასის გარდა, ის სამოასთან და იაპონიასთან ისტორიულ გამარჯვებებშიც მონაწილეობდა და აზიელებს ლელოც გაუტანა.

**ბადრი იაშვილი**

## ფეხბურთი

# დელ ბოსკე: ესპანეთმა მესის ნატურალიზება სცადა



**ესპანეთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ Guardian-თან საუბრისას განაცხადა, რომ ესპანეთმა თავის დროზე ლიონელ მესის ნატურალიზება სცადა, თუმცა, მიზანს ვერ მიაღწია.**

„ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ სცადა მესის გადმობირება, თუმცა, ფეხბურთელმა არგენტინის ეროვნულ ნაკრებში არჩია თამაში. ლიონელი ფენომენალური ფეხბურთელია. ჯერ არავინ იცის, სად დაიბადება მომდევნო მესი ან რონალდუ“ — განაცხადა ესპანელმა სპეციალისტმა.

მესის „ალბისელესტეს“ რიგებში დებიუტი 2005 წელს ჰქონდა. მას შემდეგ სამხრეთამერიკელის მიღწევა 2008 წლის ოლიმპიადის მოგება, 2014 წლის მუნდიალის და 2015 წლის კოპა ამერიკის ფინალში გასვლაა, ესპანეთის ნაკრებმა კი 2008 და 2012 წლებში ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

**გიორგი შოთაძე**

## ჩოგბურთი

# მარეი: ფედერერთან და ჯოკოვიჩთან წაგება სირცხვილი არაა

**ბრიტანელმა ენდი მარეიმ როჯერ ფედერერის და ნოვაკ ჯოკოვიჩის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ისინი ისტორიაში საუკეთესო ჩოგბურთელები არიან.**

„ამ წელს ნოვაკი წარმოუდგენელ დონეზე თამაშობს. წელს როჯერთან ორივე შეხვედრა დავთმე, ისიც საოცარ კონდიციებშია. საუკეთესო ჩოგბურთელების წინააღმდეგ თამაში რთულია. ჯოკოვიჩი და ფედერერი ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელები არიან და მათთან წაგება სირცხვილი არ არის“ —განაცხადა მარეიმ.

2015 წელს შოტლანდიელი ჯოკოვიჩთან 6-ჯერ დამარცხდა, თვითონ კი სერბს მხოლოდ ერთხელ მოუგო.



**ბეჟან დოლიძე**

## ვუნდერკინდი

# ახალი დროგბა, ოღონდ - ნიგერიელი...

**შვიდ თამაშში 10 გატანილი გოლი — ნიგერიის 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელმა ვიქტორ ოსიმენმა აწ დასრულებულ ასაკობრივ მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ ასეთი შედეგი აჩვენა და თავისი ქვეყნის გაჩემპიონებაში მთავარი როლი ითამაშა.**



ვიქტორი 1998 წლის 29 დეკემბერს ლაგოსში დაიბადა და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ბევრი მას ლეგენდარულ დიდიე დროგბასთან აიგივებს...

მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიქტორმა საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი პრიზი „ოქროს ბუცი“ მოიგო და საუკეთესო ფეხბურთელთა შორის მხოლოდ თანამემამულე კელეჩი ნვაკალის ჩამორჩა. იმავე მუნდიალზე ოსიმენმა რეკორდი დაამყარა, გაიტანა რა ყველაზე მეტი გოლი ამ ტურნირის ფინალურ ეტაპზე — 10. აქამდე საუკეთესო შედეგი ფრანგ ფლორენ სინამა პონოლესა (2001 წელი) და სულეიმან კულიბალის (2011 წელი) ჰქონდათ 9-9 გოლით.

ოსიმენის მომავალი, ეჭვგარეშეა, ევროპასთან ასოცირდება. ნიჭიერი აფრიკელით „პსჟ“, „ლივერპული“, „იუვენტუსი“, „ჩელსი“, „ინტერი“ და „ბაიერნი“ არიან დაინტერესებულნი...

**კობა კობახიძე**

## ინტერნეტიდან

# ლარისამ ახლა ბრაზილიისკენ გაიწია

**გახსოვთ ალბათ, ამასწინათ ვწერდით, პარაგვაელ მოდელ ლარისა რიკელმეს ლურსმანზე აზღუდის ჩამოკიდება რომ არ სურს და წლების მატების მიუხედავად, მაინც დიდის რუდუნებითა და გმირული შეუპოვრობით ეპოტინება პარაგვაის საფეხბურთო ნაკრების თილისმის ტიტულსო.**



თურმე რა აზღუდის ჩამოკიდება, რის კარიერის დასრულება... რიკელმე ახლა, როგორც გურულები იტყვიან, მთლად გადელებულა და იძახის, ბრაზილიაში გასამართ მის „ბუმ—ბუმის“ შოუში და კონკურსში უნდა მივიღო მონაწილეობა და უწინამც დღენი დამელიოს, თუკი სხვას ჩემზე ლამაზი უკანალი ექნებაო.

შეგახსენებთ, რომ „ბუმ—ბუმი“ ბრაზილიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მხიარული შოუა, სადაც მონაწილეობენ გავაგანიერი ქალები მთელი მსოფლიოდან და თუკი არსებულ რეალობას შევაჯამებთ და განვიხილავთ, ადვილი მისახვედრია, რომ ლარისას გავა დიახაც რომ არავისზე ნაკლებად თრთის!

**როსტომ რაჭველიშვილი**

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „ელმავალმშენებელი" 2015 წლის 11 ნოემბრიდან აცხადებს აუქციონს ამორტიზებული დაზგა-დანადგარების და ავტომობილების რეალიზაციის შესახებ.**

**ლოტი №1**

**ფრიქციული წნეხი (ф1730)** – სავარაუდოდ 6,2 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**მრუდმხარა წნეხი 400ტ. (КБ8336)** – სავარაუდოდ 8,96 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ჰიდრავლიური წნეხი (ДБ2434)** – სავარაუდოდ 10,1 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №2**

**ჰიდრავლიური წნეხი (п472б)** – სავარაუდოდ 1,7 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №3**

**მრუდხარა წნეხი (PR-160)** – სავარაუდოდ 7,5 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №4**

**უკონსოლოდ საღარავი ჩარხი (6520ф3)** – სავარაუდოდ 3 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №5**

**მრუდხარა წნეხი (KD2124E)** – სავარაუდოდ 1,97 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №6**

**მრუდხარა წნეხი (KD2124E)** – სავარაუდოდ 1,97 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №7**

**ჰიდრავლიური წნეხი (П6332Б)** – სავარაუდოდ 7,4 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №8**

**ჰიდრავლიური წნეხი (П6332Б)** – სავარაუდოდ 7,4 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №9**

**რადიალურად საბურღი ჩარხი (2M55)** – სავარაუდოდ 4,7 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №10**

**რადიალურად საბურღი ჩარხი (W-50/2)** – სავარაუდოდ 4 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №11**

**სამღერძიანი ვალცები (ЛВ-108)** – სავარაუდოდ 2,1 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №12**

**ჰიდრავლიური წნეხი (П6324)** – სავარაუდოდ 1,26 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №13**

**ჰიდრავლიური წნეხი (ПD476)** – სავარაუდოდ 3.73 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №14**

**ჰიდრავლიური წნეხი (П6328)** – სავარაუდოდ 3,1 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №15**

**ჰიდრავლიური წნეხი (PVF-250/2)** – სავარაუდოდ 7 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №16**

**ჰიდრავლიური წნეხი (K1293202)** – სავარაუდოდ 4,1 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №17**

**ჰიდრავლიური წნეხი (D2436A)** – სავარაუდოდ 13,4 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №18**

**ჰიდრავლიური წნეხი (DБ2436)** – სავარაუდოდ 13,4 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №19**

**ჰიდრავლიური წნეხი (П474A)** – სავარაუდოდ 3 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №20**

**ჰიდრავლიური წნეხი (DO436A)** – სავარაუდოდ 18,65 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №21**

**ვერტიკალურად საბურღი ჩარხი (6M13П)** – სავარაუდოდ 4,6 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №22**

**საჩორტნ სახეხი ჩარხი (3Б634)** – სავარაუდოდ 0,365 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №23**

**მრუდხარა წნეხი (KD2118)** – სავარაუდოდ 0,65 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №24**

**მრუდხარა წნეხი (KD2322)** – სავარაუდოდ 1,5 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №25**

**მრუდხარა წნეხი (KD2128E)** – სავარაუდოდ 5,5 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №26**

**სახარატო რევოლვერული ავტომატი (1K341)** – სავარაუდოდ 2,1 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №27**

**6 შპინდელ. წნელ. ავტომატი (1A240-6)** – სავარაუდოდ 9 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №28**

**გრძივად სარანდი ჩარხი (7134)** – სავარაუდოდ 20 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №29**

**სახარატო ხრახნმჭრელი (16K20ПФ)** – სავარაუდოდ 2,835 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №30**

**სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი (16K20)** – სავარაუდოდ 2,91 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №31**

**რადიალურად საბურღი ჩარხი (2M55)** – სავარაუდოდ 4.37 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №32**

**ფართოუნივერს. ინსტრუმენტ. საღარავი ჩარხი (6E75ПФ)** – სავარაუდოდ 1,2 ტონა –

1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №33**

**ჰორიზონტალურად შიგმჩარხავი ჩარხი (2A622ПB)** – სავარაუდოდ 17 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 400 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №34**

**ავტომობილი Nissan Patrol GR** (გამოშვების წელი - 1996, ძრავის მოცულობა 2.8, გარბენი – 316352კმ, კოლოფი – მექანიკური) – საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 2160 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №35**

**ავტომობილი Toyota Land Cruiser** (გამოშვების წელი - 2003, ძრავის მოცულობა 4.2, გარბენი – 378132კმ, კოლოფი – მექანიკური) – საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 4050 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №36**

**ავტომობილი MA3 53371** (გამოშვების წელი - 1987) – საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 1530 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ლოტი №37**

**ავტომობილი MA3 500** (გამოშვების წელი - 1969) – საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 1530 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე" ლოტის ღირებულების 10%-ის ოდენობით (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**USD-Account:** Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

**GEL-Account:** სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი", მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე" არ დაუბრუნდება.

აუქციონის ბიჯი – 5 აშშ დოლარი.

საქონლის აწონვა განხორციელდება სს „ელმავალმშენებელის" სასწორზე.

***ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:***

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველ დღე უქმე დღეების გარდა, $10^{00}$ – დან $15^{00}$ – საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2015 წლის 16 ნოემბერს $15^{00}$ საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

***აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:***

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (დედანი).
3. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

***გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:***

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 93 922 802, 5 77 003 707, 265 31 42, 265 33 77

**სს „ელმავალმშენებელის" მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.**

## დედამიწის ზურგზე



**იშვიათი ვარდისფერი ბრილიანტი CHRISTIE-S -ის აუქციონზე 28,8 მილიონ დოლარად გაიყიდა**

„ეს არის ასეთი ხარისხისა და ფერის ქვის აბსოლუტური ფასი", – განაცხადა აუქციონის სახლის წარმომადგენელმა ფრანსუა კორიელმა. თითქმის 250-წლიანი ისტორიის მანძილზე აუქციონის იყო მხოლოდ სამი შემთხვევა, როდესაც ვარდისფერი ბრილიანტი, რომლის წონაც 10 კარატზე მეტი იყო, გამოიფინა გასაყიდად.

* * *

**ამერიკული გამანადგურებლები ჩავიდნენ თურქეთში საზღვრის დასაცავად რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან**

ექვსი გამანადგურებელი F15C უკვე ჩავიდა თურქეთში ინჟირლიკის ბაზაზე. იქვე ჩაფრინდებიან სხვა გამანადგურებელი ბომბდამშენები – თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მხარდასაჭერად ტერორისტებთან ბრძოლაში. პენტაგონში აღნიშნავდნენ, რომ თურქეთის ხელისუფლების თხოვნით გადაწყვიტეს, დახმარებოდნენ მათ საზღვრის დაცვაში, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის თვითმფრინავებისაგანაც.

* * *

**ბრაზილიაში ჩამოვარდა და აფეთქდა ბიზნეს-ჯეტი. დაიღუპა ორი პილოტი და ამ უდიდესი სადაზღვევო კომპანიის ორი ტოპ-მენეჯერი**

ავარიის ერთ-ერთი მსხვერპლი გახდა მარკო ანტონიო როსი, კომპანია „ბრადესკოს" უფროსის პოსტის ერთ-ერთი საალბათო კანდიდატი. უკანასკნელ პერიოდში იგი ამუშავებდა წინადადებებს მცირეშემოსავლიანი ოჯახებისათვის და პასუხისმგებელი იყო კომპანიის მომზადებაში რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადისათვის. თვითმხილველები ამბობენ, რომ თვითფრინავი იწვოდა ჰაერში.

* * *

**პირველმა იაპონურმა სამგზავრო რეაქტიულმა ლაინერმა შეასრულა საცდელი გაფრენა**



ლაინერის დამუშავება წარმოებდა 2007 წლიდან და იგი დაჯდა დაახლოებით 180 მილიარდი იენი (1,6 მილიარდ დოლარზე მეტი). თვითმფრინავის პირველი ნიმუშის პრეზენტაცია მოხდა 2014 წლის ოქტომბერში. 2015 წლის 7 ნოემბერს ლაინერმა წარმატებით განახორციელა სახმელეთო გამოცდები, რომლის დროსაც თვითმფრინავი ახორციელებდა ასაფრენ სიჩქარეს – 220 კილომეტრს საათში.

* * *

**სირიის არმიამ ჩააბარა პატაკი უდიდესი წარმატების შესახებ რუსეთის მხარდაჭერით**

სირიის სამთავრობო ჯარებმა გაარღვიეს თითქმის სამწლიანი ბლოკადა კუვეითის სამხედრო აეროდრომზე ალეპოს პროვინციის ჩრდილოეთში. ოპერაციის დროს გაათავისუფლეს ასობით ტყვე, რომლებიც ჰყავდათ ტერორისტ სირიელ ჯარისკაცებს.

* * *

**ლონდონელი მოზარდების განმაირაღებელმა რუსმა ქალბატონმა ელისაბედ მეორის ხელიდან მიიღო ორდენი**

ნატაშა ხარტმა მიიღო ორდენი დედოფალ ელისაბედ მეორის ხელიდან. გახდა პირველი რუსი ქალი, ვისაც ასეთი ღირსება ერგო. ხარტმა კალათბურთის დახმარებით შეძლო, განეიარაღებინა მოზარდები ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე კრიმინალური რაიონის – ნიუემისა.



ალიან-ჩალიანი

# საქართველო ვერ იქნება დამოკიდებული რუსულ გაზზე, რადგან სხვა წყაროები გვაქვს



ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ „გაზპრომთან“ დაკავშირებით დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

„მე არაერთხელ გავაკეთე განმარტებები და გავიმეორებ, რომ ჩვენ გაზის მოცულობის ძირითად ნაწილს ვიღებთ აზერბაიჯანიდან, თუმცა ყოველწლიურად ჩვენ გვიხდებოდა დამატებითი მოცულობების მიღება „გაზპრომისგან“, იმ მოცულობების გარდა, რასაც ჩვენ ტრანზიტის საფასურად ვიღებთ იმის გათვალისწინებით, თუ ბაზარს რამდენი სჭირდებოდა - მე კომერციული გაზი მაქვს მხედველობაში. ყოველწლიურად ვიღებდით დამატებით მოცულობებს, ეს მოხდა შარშან, შარშანწინ, გასული წლების განმავლობაში და თუ აუცილებლობა იქნება, მომავალ წლებშიც“, — განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, საქართველო არ არის დამოკიდებული რუსულ გაზზე.

„ვერ იქნება დამოკიდებული რუსულ გაზზე იმიტომ, რომ გვაქვს სხვა წყაროები. 2019 წელს შემოდის ახალი პროექტი — „შაჰდენიზის“ მეორე ფაზა, რომელიც სრულდება და აქედან კიდევ დამატებით მოცულობებს მივიღებთ ასე, რომ ამ მიმართულებით პრობლემა არ არის. ჩვენ რა თქმა უნდა, უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ შემოვიყვანოთ სხვა ალტერნატიული მომწოდებლები, იყოს ამის საშუალება, როგორცაა თურქმენეთი, ირანი. ვმუშაობთ ამ მიმართულებით“, — განაცხადა კალაძემ.

კითხვაზე, რაზე იყოს საუბარი საქართველოში ვიზიტად მყოფ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან, კალაძის თქმით, საუბარი იყო ახალ პროექტებზე ელექტროენერგიით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

„იანვრიდან ჩვენ ვგეგმავთ საქართველოს გავლით აზერბაიჯანის ელექტროენერგიის თურქეთის მიმართულებით გატანას. საუბარი იყო ასევე გაზსაცავის მშენებლობაზე, რომელიც ჩვენ 2016 წელს გვაქვს დაგეგმილი, აზრებაიჯანულ მხარესაც აქვს ინტერესი მიიღოს მონაწილეობა როგორც წილობრივად, ასევე ფინანსურად“, — განაცხადა კალაძემ.

# თბილისში გზების კეთილმოწყობის გაჭიანურება კონტრაქტორთა დაუდევრობის ბრალია



დედაქალაქის მერი დავით ნარმანია თბილისში, გზის სამ მონაკვეთზე სამუშაოების შეფერხებას კონტრაქტორი კომპანიის არასათანადო დამოკიდებულებითა და დაუდევრობით ხსნის.

დავით ნარმანიამ აღნიშნულ სამ მონაკვეთში ჭავჭავაძის გამზირი, წერეთლის გამზირი და თევდორე მღვდლის ქუჩა იგულისხმა. სამუშაოებს ასრულებდა კომპანია „არენამშენი“, რომელსაც დროში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა ჰქონდა. დავით ნარმანიას განცხადებით, სწორედ ამიტომ შეწყდა კონტრაქტი, გამოცხადდა ხელახალი ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა ოთხი გამარჯვებული კომპანია ოთხი მიმართულებით და სამუშაოებს ისინი შეასრულებენ.

დავით ნარმანიას ინფორმაციით, გზების აღდგენის პროცესი დაწყებულია და ძირითადად ნოემბრის განმავლობაში, ზოგიერთ მონაკვეთში კი, დეკემბრის შუა რიცხვებამდე გზა მთლიანად იქნება აღდგენილი.

**ქვეყანა:** საქართველო
**პროექტის სიდენტიფიკაციო კოდი:** P147348
**პროექტის სახელწოდება:** ელექტროგადამცემი ქსელის გაუმჯობესების პროექტი
**ინფორმაცია სესხის თაობაზე:** IBRD 83770

| | |
|---|---|
| ზოგადი ინფორმაცია | |
| შეტყობინების ტიპი | მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე |
| მესესხის სატენდერო ნომერი | IBRD/TGSP/CS/ QCBS/01-2015 |
| ტენდერის აღწერა | "საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლატფორმის" პროექტისთვის დიზაინის, შესყიდვის, მართვის და ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება |
| შეტყობინების ენა | ინგლისური |
| სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა | 25 ნოემბერი, 2015 |
| ადგილობრივი დროით | 17:00 |
| შესასყიდი პროდუქტის შერჩეული კატეგორიის კოდები | No. კატეგორიის კოდი პირველადი აღწერა |
| საკონტაქტო ინფორმაცია განცხადებასთან დაკავშირებით | |
| ორგანიზაცია/დეპარტამენტი | სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" |
| საკონტაქტო პირი | მაია ფიცხელაური |
| თანამდებობა | საერთაშორისო პროექტების და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი |
| მისამართი | ბარათაშვილის ქ.№2 |
| ქალაქი | თბილისი |
| საფოსტო კოდი | 0105 |
| ქვეყანა | საქართველო |
| ტელეფონი | +995 322 510 263 |
| ფაქსი | +995 322 510 202 |
| ელ. ფოსტა | maya.pitskhelauri@gse.com.ge |
| ვებ-გვერდი | www.gse.com.ge |

დეტალური ინფორმაცია განცხადებასთან დაკავშირებით

# მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე

**(საკონსულტაციო მომსახურება — ფირმების შერჩევა)**

**საქართველო**

**ელექტროგადამცემი ქსელის გაუმჯობესების პროექტი — P147348**

**სესხის No. 8377-GE**

**დავალების სახელწოდება:**

**„საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლატფორმის“ პროექტისთვის დიზაინის, შესყიდვის, მართვის და ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება**

**ნომერი: IBRD/TGSP/CS/QCBS/01-2015**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან (WB) მოითხოვა სესხი „ელექტროგადამცემი ქსელის გაუმჯობესების პროექტის“ დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის გარკვეული ნაწილი მოხმარდება საკონსულტაციო მომსახურებას.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა„ ინტერესის გამოსახატად იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს „საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლატფორმის“ პროექტისთვის დიზაინის, შესყიდვის, მართვის და ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად. საქართველოს ელექტრონერგიის ბაზრის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ორმხრივი კონტრაქტებიდან საათობრივად რეგულირებად „ერთი დღით წინმსწრებ საპროგნოზო ბაზარზე“ გადასვლა. „საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლატფორმის“, ფარგლებში განხორციელდება აღრიცხვის, საბალანსო, სავაჭრო სისტემისთვის ტექნიკური ინვენტარისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა და დანერგვა საქართველოში. დიზაინის მოსამზადებელი სამუშაოების დაჩქარებისა და პროექტის ეფექტურად განხორციელების მიზნით, დაქირავებული იქნება საკონსულტაციო კომპანია, რომელიც დაეხმარება სსე-ს და ითანამშრომლებს ბაზრის მართვის სისტემის შერჩეულ მომწოდებელთან.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა ოცდაორი (22) თვე, დაწყების თარიღი 2016 წლის მაისი.

სსე იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს („კონსულტანტები„) „მომსახურების„ გაწევაზე ინტერესის გამოსახატად. დაინტერესებულმა „კონსულტანტებმა„ უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება „მომსახურების„ გასაწევად. მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- გამოცდილება ევროპასა და სხვა რეგიონებში ელექტროენერგიის ბაზრების დიზაინში, მათ შორის, ბაზრის წესებისა და რეგულაციების შედგენაში;
- მთავარი კონსულტანტების პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება ელექტროენერგიის გაცვლით ბაზრებზე;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში (ე.ი. 2010 წლის იანვრის შემდეგ) მსგავსი საკონსულტაციო კონტრაქტების შესრულების გამოცდილება. შეფასება განხორციელდება შესაბამისი საკონსულტაციო კონტრაქტების ღირებულებისა და რაოდენობის კომბინაციის მიხედვით;
- ზოგადი საკონსულტაციო გამოცდილება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების — „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება ხრეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებშიჯ“ (2011 წლის იანვრის გამოცემა, “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები“, 2014 წლის ივლისის შესწორებული გამოცემა) — 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე). ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს.

დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც ატვირთულია სსე-ს ვებ-გვერდზე და თან ერთვის ინტერესის გამოხატვაზე აღნიშნულ მოწევას.

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა სასურველია, არ აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება „კონსულტანტის კვალიფიკაციისა და ფასის„ (QCBS) შერჩევის მეთოდის საფუძველზე, რომელიც მოცემულია მსოფლიო ბანკის მსესხებლებისთვის გაცემული IBRD-ის სესხებითა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში კონსულტატების შერჩევის და დაქირავების (იანვარი 2011 წელი, შესწორების თარიღი 2014 წლის ივლისი) შესახებ მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო ინსტრუქციების II ნაწილში.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ მისამართზე, სამუშაო საათებში — 10:00-დან 18:00 სთ-მდე, სსე-ს საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტში, ტელეფონის ნომერზე: +995 322 510 263, საკონტაქტო პირი: ქ-ნ გურანდა მაჩაიძე, საერთაშორისო შესყიდვების სპეციალისტი.

ინტერესთა გამოხატვის შესახებ წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, ქვემოთ მოცემულ მისამართზე (პირადად, ფოსტით, ფაქსით, ან ელ-ფოსტით, არა უგვიანეს ინტერესის გამოხატვის დოკუმენტის მიღების ბოლო ვადისა) 2015 წლის 25 ნოემბრის 17:00 სთ-მდე.

**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“**

**ქ-ნ მაია ფიცხელაურს, საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს**
**საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა №.2**
**ტელ: .: +995 322 510 263 ან**
**+995 322 510 264**
**ფაქსი:(995 32 2 510 101;**
**ელ.ფოსტა: maya.pitskhelauri@gse.com.ge; guranda.machaidze@gse.com.ge**

**Country:** Georgia
**Project Id:** P147348
**Project Name:** Transmission Grid Strengthening Project
**Loan Info.:** IBRD 83770

| General Information | |
|---|---|
| Notice Type | Request for Expression of Interest |
| Borrower Bid Reference | IBRD/TGSP/CS/QCBS/01-2015 |
| Bid Description | Consulting Services for Design, Support with Procurement, Management, and Supervision of Wholesale Power Exchange Platform |
| Language of Notice | English |
| Deadline for Application Submission Date | 25-Nov-2015 |
| Local Time | 17 : 00 |
| Selected category codes for product to be procured | |
| Contact Information on Advertisement | |
| Organization/Department | Georgian State Electrosystem JSC |
| Name | Mrs. Maya Pitskhelauri |
| Title | Head of International Projects & Reporting Department |
| Address | 2, Baratashvili Street |
| City | Tbilisi |
| Province/State | Georgia |
| Postal Code | 0105 |
| Country | Georgia |
| Phone | +995322510263 |
| Fax | +995322510202 |
| Email | maya.pitskhelauri@gse.com.ge |
| Website | www.gse.com.ge |

Detailed Information for Advertisement

# TRANSMISSION GRID STRENGTHENING PROJECT – P147348

Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the Transmission Grid Strengthening Project, and intends to apply part of the proceeds for consulting services.

Georgian State Electrosystem JSC (GSE) is now seeking expressions of interest from potential providers of consulting services for design, procurement as well as management and supervision of the implementation of the wholesale power exchange platform. The prime objective of the electricity market in Georgia is to move from bilateral contracts towards day ahead market with hourly settlements. The wholesale power exchange platform with the provision of hardware and software for metering, balancing, and trading will be procured and implemented in Georgia. In order to expedite the preparation of the design and carry out implementation of the project more efficiently, a consulting company will be engaged to assist GSE and interact with the selected market management system vendor.

The tentative duration of the assignment is twenty two (22) months, commencing from May, 2016.

GSE now invites eligible consulting firms ("Consultants") to express their interest in providing the Services. Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The shortlisting criteria are:

Designing power markets in Europe and other regions, including writing rulebooks and market regulations;
Practical working experience of key consultants at power exchanges;
Similar consultancy contracts completed in the last 5 years (i.e. since January 2010). Rating shall be made on a combination of the value and the number of the relevant consultancy contracts;
General experience of the Consultant.

*The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers - January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.*

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)* to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company.

Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at the website of the GSE as attachment to this Request for Expression of Interest. http://www.gse.com.ge/new/?p=5136&lang=en#more-513eh

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

*A Consultant will be selected in accordance with the Quality-and Cost-Based Selection Method (QCBS) method set out in Section II of the Guidelines: Selection and Employment of Consultants under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers - January 2011, revised July 2014*

Further information can be obtained at the address below during office hours from 10:00 a.m. to 18:00 p.m. at International Projects and Reporting Department of GSE, Phone number: +995 322 510 263, Mrs. Guranda Machaidze, International Procurement Specialist, email: guranda.machaidze@gse.com.ge

Expressions of Interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail not later than the submission deadline) by November 25, 2015, 17:00.

ოთარ ტურაბელიძე, დალი ხუნდაძე, გიორგი ლაშხი, ბიძინა ჩიგოგიძე, ნუგზარ გელოვანი, ირაკლი ამაშუკელი, ოთარ კანდელაკი, კოტე მახიტაშვილი, კოტე არობელიძისა და ლევან ჯაფარიძის ოჯახები თანაგრძნობას უცხადებენ ზურაბ და თამარ სარიშვილებს და გოჩა ვაშაძეს დედისა და სიდედრის

**ლიდია ბარანოვა-სარიშვილის**

გარდაცვალების გამო.

## ინფორმაცია

### დაჭრილი სამხედროები საშემოსავლო გადასახადებისგან უნდა გათავისუფლდნენ

თავდაცვის სამინისტროს კანონპროექტის თანახმად, საგადასახადო შეღავათი დაწესდება, რომლის მიხედვითაც საშემოსავლო გადასახადით, დაშავებული სამხედროების მიერ წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი არ დაიბეგრება.

პროექტი მიზნად ისახავს საერთაშორისო მისიებსა თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაჭრილი და დაშავებული სამხედროების საშემოსავლო გადასახადების ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

„ჯანმრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე, დაჭრილ სამხედროებს ხანგრძლივი მკურნალობა და რეაბილიტაცია ესაჭიროებათ. ეს მათ ფინანსურ შესაძლებლობებთან პირდაპირ კავშირშია. ჯარისკაცები 90 თვის განმავლობაში სამკურნალო შვებულებაში იმყოფებიან. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ, სამხედროები სამედიცინო კომისიას გაივლიან და მათ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი მიენიჭებათ. ეს კი ავტომატურად გახდება დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის საფუძველი.

სწორედ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანა“, – აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

### ადვოკატები ტარიელ ფოცხვერიას გათავისუფლებას ითხოვენ

ე.წ. კანონიერი ქურდის, ტარიელ ფოცხვერიას ადვოკატების მოთხოვნა დაკმაყოფილდა და საქალაქო სასამართლო ჯანდაცვისა და სასჯელაღსრულების სამინისტროების ერთობრივი კომისიის წინააღმდეგ საჩივარს დაჩქარებული წესით განიხილავს.

როგორც ფოცხვერიას ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა განაცხადა, სასამართლო სხდომა 14:00 საათზეა დანიშნული.

ადვოკატის ინფორმაციით, საჩივარში დაცვის მხარე ითხოვს, საქალაქო სასამართლომ სამინისტროების მუდმივმოქმედ კომისიას დაავალოს, გამოსცეს აქტი – ტარიელ ფოცხვერიას გათავისუფლების შესახებ.

„სასჯელაღსრულებისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობრივი მუდმივმოქმედი კომისია ტარიელ ფოცხვერიას გათავისუფლების საკითხს სუბიექტურად მიუდგა. მათთვის ადამიანის სიცოცხლე, როგორც ჩანს, არაფერს წარმოადგენს. კომისიის ფარგლებში, ფოცხვერიას მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი გათავისუფლების საკითხი ამ დრომდე არ განხილულა, რაც რეგულაციების დარღვევაა. კომისიას საკითხის განხილვის შესაბამისი განცხადებით, ჯერ კიდევ 3 სექტემბერს მივმართეთ და მას ეს საკითხი 2-კვირიან ვადაში უნდა განეხილა, რაც ამ დრომდე არ მომხდარა“, – განაცხადა გაგი მოსიაშვილმა.

მისი თქმით, სასამართლოში მტკიცებულებების სახით წარადგენენ სამედიცინო დასკვნებს, რომლის მიხედვით, ფიცხვერიას აქვს სიმსივნე და მისი მდგომარეობა მძიმეა.

### ციხეში სიმ-ბარათის შეტანისთვის ქრთამად 7 ათასი აიღო

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და სასჯელაღსრულების სამინისტროს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე სასჯელაღსრულების სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №15 დაწესებულების რეჟიმის ცვლის კონტროლიორი გოჩა ნოზაძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გოჩა ნოზაძე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, მოქალაქეს დაჰპირდა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №15 დაწესებულებაში, შემდგომში პატიმრისთვის გადასაცემად შეიტანდა მობილური ტელეფონის სიმ-ბარათს, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო 7 000 ლარი.

## განცხადება

20 ნოემბერს 16 საათზე ქალაქ ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში გაიმართება მდინარე ხრამზე დისველიჰესის პროექტის პრეზენტაცია. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ დაესწრონ.

შპს მცირე ჰესის დირექტორი
**ნუგზარ კობახიძე**

სადა ხარ, მერიავ?!.

# გმირთა მოედნის სანგრები და კიბეების „ჩალეწილი კბილები“

**მდინარე ვერეს ხეობის ქვედა წელი, მტკვართან მისი შესართავის არემარე — სანაპირო, ზოოპარკი, გმირთა მოედანი, ივნისის წყალდიდობის უმძიმეს შედეგებს თანდათანობით იშუშებს.**



რამდენიმე დღის წინათ, გმირთა მოედნიდან ვაკე-საბურთალოს შემაერთებელ თამარაშვილის ქუჩამდე ვერეს ხეობით ორმხრივი სამანქანო მოძრაობა განახლდა, რაც ქალაქის ცენტრის საცობებისგან განსატვირთავად, რომ იტყვიან, „პანაცეაა“. ეს, ცხადია, მისასალმებელი ამბავია. თანდათანობით დალაგდა ზოოპარკიც, რომელიც უკვე კარგა ხანია, დიდ-პატარა თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს მასპინძლობს. მაგრამ ისევე, როგორც ბოლო წლების მანძილზე, კვლავ სრულიად უპატრონოდაა მიტოვებული გმირთა მოედანზე უკლებლივ ყველა მიწისქვეშა გადასასვლელი, რომლებითაც გადაადგილება, ელემენტარულად, ჯანმრთელობისთვის (და სიცოცხლისთვისაც კი!) დღისითაც კი საშიშია, ღამით ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. კიბეების „ჩალეწილ კბილებს“ ფოტოზე თავადაც ხედავთ, ბატონებო!

იქაურობას არა მარტო განათება არა აქვს, სავალი ნაწილები წყალარინების (თუ რაღაც სხვა დანიშნულების) სანგრების მსგავსი თხრილებითაა გადაჭრილი, რომლებსაც ზემოდან, თვალის მოსატყუებლად, დაწნეხილი ნახერხის ნაჭრები აქვს წაფარებული, რაც



უდარდელი გამვლელების ჯანმრთელობას (აკი წეღან ვთქვი, სიცოცხლესაც!) დიდ საფრთხეს უქმნის: წარმოუდგენელია შიგ ჩავარდნილი კაცი უვნებლად გადარჩეს.

ამ კოშმარული ვითარების შესახებ ადრეც არაერთგზის გვითქვამს, განგაშის ზარის შემოგვიკრავს და ბუკიც ჩაგვიბერია, მაგრამ მათი ხმა არც მერიაში ესმით, არც რაიონის გამგეობაში.

როდემდე, პატივცემულებო, როდემდე?

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

**ყურადღება!**

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი — მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

ცინცხალი ანეკდოტები

**ქალი მიდის მინდორში. ცხელა. ხედავს — კაცი ბალახს თიბავს, თან აირწინაღი უკეთია.**

**— რას შვრები?**

**— ვთიბავ.**

**— აირწინაღი რატომ გიკეთია?**

**— იმიტომ, რომ მე მიყვარს წინააღმდეგობების გადალახვა.**

**— ???... მოგცლია რა შენც... წამო, სექსი არ გირჩევნია?**

**— კი ბატონო, ოღონდ ჰამაკში, ფეხზე დგომელა და გაზის ბალონით ხელში.**

* * *

**მებრელი იღვიძებს ნამთვრალევი, გვერდზე ვიღაც ქალი უწევს. არაფერი არ ახსოვს.**



**— რამდენი წლისა ხარ შენ?**

**— რამდენისაც გამოვიყურები — გაიპრანჭა ქალი.**

**— ნუ იტყუილები ქალო, მაგდენს არ ცოცხლობენ!**

* * *

**მოსკოვში მიწისქვეშა გადასასვლელში ერთმანეთის პირდაპირ ორი მათხოვარი ზის. ერთს მკერდზე აწერია: „დაეხმარეთ საბრალო რუსს!“, მეორეს — „დაეხმარეთ საწყალ ებრაელს“.**

**ყველა გამვლელი, ცხადია, მეორის ჯინაზე პირველს უყრის ფულს. გამვლელი შეჩერდა და ეუბნება იმ მეორეს:**

**— კი მაგრამ, ებრაელიო რომ დაგიწერია, ფულს შენ ვინ მოგცემს! სულაც ნუ დაიწერდი ნურაფერს. ან შენც დაიწერე, ვითომ რუსი ხარ.**

**— ჰოო... რა ვიცი აბა... — თავს აქნევს ებრაელი ნაღვლიანად, და როგორც კი დროს იხელთებს, პირველ მათხოვარს თვალს უკრავს:**

**— გესმის, მოშე? ეს დებილი ჩვენ კომერციას გვასწავლის!**

ტესტი

# სხვისი განწყობილების ტყვეობაში

**ადვილად ემორჩილებით გარშემომყოფთა გავლენას? ინერვიულებთ, თუ ირგვლივ ყველა ღელავს? გაგიფუჭებთ განწყობილებას სხვისი უბედურება, გაგეღიმებათ სხვის სიცილზე?**

1. ყოველთვის კარგად გრძნობთ თქვენს გარშემო მყოფ ადამიანთა განწყობილებას?
2. გევსებათ თვალები ცრემლით, როდესაც თქვენთან ვიღაც ტირის?
3. შეიძლება გაგიუმჯობესდეთ განწყობილება, როდესაც მხიარულ, ოპტიმისტ ადამიანს ესაუბრებით?
4. ყოველთვის უთანაგრძნობთ ლათინური ამერიკისა და ინდური კინოფილმების სერიალების გმირებს?
5. თუ თქვენთვის ცნობილ ანეკდოტს უსმენთ, თქვენ არ შეგიძლიათ, შეიკავოთ სიცილი?
6. გაღიზიანებთ, როდესაც ადამიანები თქვენი თანდასწრებით ბრაზობენ?
7. ცნობა სიკვდილის შესახებ თქვენთვის უცნობი ადამიანისაც კი იწვევს თქვენს ცრემლებს?
8. გიჩუყდებათ გული, როდესაც ხედავთ, როგორ იხუტებს ქალი გულში ბავშვს?
9. მთელი თქვენი სხეული სწრაფად ეხმიანება საყვარელი ადამიანის ხელით შეხებას?
10. გაღიზიანებთ, როდესაც ვიღაცა შეშფოთებული დადის ოთახში?



11. ადვილია თქვენი ჩათრევა ნებისმიერ კონფლიქტში?
12. ყოველთვის ღიმილით პასუხობთ სხვის ღიმილს?
13. ყოველთვის ამჩნევთ არა მხოლოდ იმას, რასაც ლაპარაკობენ, არამედ იმასაც, თუ როგორ ლაპარაკობენ?

**პასუხისათვის „ყოველთვის“ იწერება 5 ქულა; პასუხისათვის „ხშირად“-4; პასუხისათვის „ზოგჯერ“ — 3, პასუხისათვის „იშვიათად“ — 2; ხოლო პასუხისათვის „არასოდეს“ — 1 ქულა.**

**შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს**

**13-დან 25 ქულამდე.** თქვენ სხვისი განწყობილებისადმი აღუქმელი ბრძანდებით. თქვენ მთლიანად თქვენი თავით ხართ დაკავებული და არ გაინტერესებთ, რას გრძნობენ ირგვლივ მყოფები. რა თქმა უნდა, თქვენი ფსიქოლოგიური დაცვა ემოციური სტრესებისაგან მაგარია, „როგორც ჯავშანი“, მაგრამ აი, ხომ არ გაითქვით სახელი, როგორც უგულო ადამიანმა, ყრუმ სხვების წამებისადმი? შეეცადეთ, შეხედოთ საკუთარ თავს გვერდითი მეთვალყურის თვალებით, რათა მონახოთ საკუთარ თავში ის, რაც დაგეხმარებათ გახდეთ უფრო გულისხმიერი ადამიანი.

**26-დან 40 ქულამდე.** თქვენ შეგიძლიათ უთანაგრძნოთ სხვას, ოღონდ არა იმდენად, რომ ამან თქვენ რაღაც ზიანი მოგაყენოთ. და ეს არაა მცირე მნიშვნელობისა, ვინაიდან ადეკვატური თანაგრძნობის უნარი — ნებისმიერი ადამიანის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი თვისებაა.

**41-დან 65 ქულამდე.** თქვენ „სხვისი განწყობილების მონათა“ რიგებში იმყოფებით. ხშირად თქვენ ისიც არ იცით, სად მთავრდება თქვენი და იწყება სხვისი განცდები. ყურადღება გაამახვილეთ საკუთარ ემოციებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ გელოდებათ გამოხატული ემოციური ჩავარდნები და ცუდი განწყობილება.

**ყურადღება!**

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

**ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე